

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
როლი გარდამავალი და განვითარებადი
ეკონომიკის ქვეყნებში და ოპტიმალური
სამთავრობო პოლიტიკა

რეზო კაქულია

*ედგენება ნატალი ლომიძის ტრაგიკულად
გარდაცვლილი მშობლების ხსონას*

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული
მოწყობის რეფორმის ცენტრი

Rezo Kakulia

The Role of FDI in Transitional and
Developing Countries and the
Benefit-Maximizing Government Policies

The Center of Effective Governance System and Territorial
Arrangement Reform

გამოცემა შპს „არადანი“ მიერ

Published by “Aradani“ Ltd

ISBN 978-99928-72-26-0

ეს არის შესანიშნავი ნაშრომი შესანიშნავი მკვლევარისა, რომელიც ოსტატურად ავითარებს დარგში დაგროვებულ გამოცდილებას. ამჯამად უკვე აღიარებულია და დამტკიცებული რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (უპი) თამაშობდნენ და თამაშობენ უმნიშვნელოვანეს როლს ეკონომიკური განვითარების აღმავალ სტადიაზე, რომ ისინი ეხმარებიან ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში, - დაბალი შემოსავლების, დაბალი დანახოგების და მწირი ინვესტიციების მოკვადღებული წრის გარღვევაში. ამავდროულად, ავტორი ავითარებს ჯარგად ინფორმირებულ და არგუმენტირებულ მოსაზრებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ასეთი, განყენებულად აღებული, როდი წარმოადგენს პრობლემების პანაცეურ გადაწყვეტას, არამედ მის სარგებლიანობას განაპირობებს მიმღები ქვეყნის მთავრობის ადეკვატური პოლიტიკა და შესაბამისი საინვესტიციო სტრატეგიები. ცუდად გააზრებულ სამთავრობო პოლიტიკას შეუძლია უპი აქციოს ზიანის მომტანადაც კი, რასაც ადგილი ჰქონდა თუნდაც უზბეკეთის მაგალითზე. აკეთებს რა უპი-ს თანმდევი ბენეფიციების და მათი მაქსიმალიზაციისთვის აუცილებელი სტრატეგიების არტიკულირებას მთელს ნაშრომში, ავტორი აანალიზებს ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მეტად პრაქტიკულ და ფასეულ გამოცდილებას. შესაბამისი ანალიზის და დასკვნების საფუძველზე, მკვლევარი ავითარებს დახვეწილ, მეტად სასარგებლო და ჯარგად დაბალანსებულ რეკომენდაციებს მისი მშობლიური ქვეყნის - საქართველოსთვის.

ლაიომ ბოკროში

პროფესორი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

მრთელი ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის ფინანსური კონსალტინგის დეპარტამენტის დირექტორი
უნგრეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი

წინამდებარე ნაშრომი თვალსაჩინოს ხდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლს გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის. საკვანძო არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ტიპის ქვეყნების ეკონომიკებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია ადგილზე არსებული საინვესტიციო რეჟიმის ტიპსა და მიმღები ქვეყნების მთავრობების შესაბამის პოლიტიკაზე. ამ მტიცების საილუსტრაციოდ, ნაშრომის პირველ ნაწილში კომპლექსურად არის დამუშავებული არსებული ემპირიული ლიტერატურა, ხოლო მეორე ნაწილში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციფიური ქვეყნების გამოცდილებას, ანალიზებს რა სამისოდ მექსიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმატებულ მაგალითებს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია ავტორის მშობლიური ქვეყნის, საქართველოს მაგალითის ფართო ანალიზი, სადაც იგი ავითარებს შესაბამის, მეტად ფასეულ რეკომენდაციებს ამ ქვეყნის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მოსალოდნელი ბენეფიციების გასაზრდელად. მთელი ნაშრომი არის საუცხოოდ ორგანიზებული და სტრუქტურირებული, ხოლო საქართველოს მაგალითი არის უაღესად საინტერესოდ და ტრმად გააზრებული, რაც ცხადყოფს ავტორის მაღალ კვალიფიკაციას და საკუთარი ქვეყნის პრობლემების კარგ ცოდნას. უპირანი იქნებოდა აღნიშნული კვლევის გამოქვეყნება.

უვე პუეტერი

დოქტორი, პოლიტიკური (სტრატეგიების) კვლევების ცენტრი

სახელმწიფო მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

თავი 1. შესავალი	5
თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა, პრაქტიკული და თეორიული ასპექტები	8
2.1. რატომაა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი) მნიშვნელოვანი?.....	8
2.2. თეორიული დასაბუთება	11
2.3. ძირეული კონცეფციები და უპი-ს დეტერმინანტები.....	12
2.4. უპი-ს ბენეფიციები და ნაკლოვანებები	15
2.5. პირველადი ემპირიული დასკვნები	18
თავი 3. უპი-ს დადებითი ეფექტების მაქსიმალური ზაცია	21
3.1. მიზნის კონსტრუირება	21
3.2. დადებითი სპილოვერების გამომწვევი ფაქტორები და შესაბამისი სამთავრობო სტრატეგიები	22
3.3 უფრო ლიბერალური საინვესტიციო გარემოსკენ - შემზღუდავი ბერკეტების უარყოფა	23
3.3.1. ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა.....	24
3.3.2. ტექნოლოგიების ლიცენზირების მოთხოვნა	26
3.3.3. ერთობლივი საწარმოს შექმნის მოთხოვნა	27
3.4. განვრცობითი ეფექტების გაფართოება ექსპორტის ნახალისებით - „მათრახის და თავლაკვერას პოლიტიკა“	30
3.5. მტკიცებულებათა მიმოხილვა - მექსიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილება	33
თავი 4. სარგებლის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული სხვა სამთავრობო სტრატეგიები	38
4.1. ლიბერალური საინვესტიციო გარემოს დამატებითი ასპექტები	38
4.2. უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის უკუკავშირების ნამახალისებელი პროაქტიული სტრატეგიები	39
4.3. ზომიერი (დაბალანსებული) სამთავრობო ინტერვენცია	41
თავი 5. უპი-ს სტატუსი და ტენდენციები საქართველოში - რა უნდა ვისწავლოთ?	43
თავი 6. დასკვნითი შენიშვნები	51
დანართი 1 (ცხრილები 1, 2, 3).....	55
დანართი 2 (ცხრილები 4, 5).....	57
გამოყენებული ლიტერატურა	108

თავი 1

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დახურული და ადმინისტრაციულ-კომანდური ტიპის ეკონომიკების ერის დასრულებამ განაპირობა უპრეცედენტო შესაძლებლობების შექმნა გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისთვის. მათ მიეცათ საშუალება გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში დინამიური ინტეგრირებისა და განვითარებულ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებთან მიახლოებისთვის. ღია ეკონომიკურმა ურთიერთობებმა და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შექმნა თვისობრივად ახალი რეალობები გადამწყვეტი ცვლილებებისა და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისთვის, რასაც ხელს უწყობს ამჟამად არსებული უნიკალური შესაძლებლობები, კერძოდ, ტექნოლოგიური რევოლუციის მიღწევების თავისუფალი გამოყენება, კაპიტალის, ასევე, მოწინავე ცოდნაზე დაფუძნებული რესურსების დაუბრკოლებელი იმპორტი ადგილობრივ ეკონომიკაში.

შესაბამისად, ამ ტიპის ქვეყნებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობას იძენს იმპორტი და მასთან დაკავშირებული კოლოსალური შესაძლებლობები. თანამედროვე სამყაროში, ღია ეკონომიკა შესაძლებლობას იძლევა ყურადღება გაუამახვილოთ იმპორტის ოთხ ძირითად სახეობაზე: *კაპიტალი, საქონელი და მომსახურება, ინსტიტუციები და ინოვაციური იდეები*. როდესაც ვაანალიზებთ გარკვეული გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების მიღწევებს, თვალმისაცემი ხდება შემდეგი გარემოება, - ქვეყნებმა რომლებიც მიუახლოვდნენ განვითარებული ეკონომიკების დონეს, მოახერხეს ეს სწორედ ზემოთნახსენები კომპონენტების იმპორტის ხარჯზე, რითაც თავიდან აიცილეს ველოსიპედის თავიდან გამოგონების აუცილებლობა და დაზოგეს ათწლეულები. ფაქტიურად, არა მხოლოდ ეს ქვეყნები, არამედ ყველა განვითარებული დასავლური სახელმწიფო მის ამჟამინდელ ტექნოლოგიურ ბაზას და პროდუქტიულობას უდიდესწილად უმადლის სხვა ქვეყნებიდან განხორციელებულ ცოდნისა და გამოგონებების იმპორტს. უმნიშვნელოვანესი ნაწილი იმისა, რასაც ისინი ფლობენ, არა მხოლოდ საქონელი და მომსახურება, არამედ ცოდნაც და იდეებიც მიღებულია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხარჯზე.

დღესღეისობით, კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და ცოდნის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მიშვიდველ გზად სამართლიანად და ობიექტურად მიჩნეულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი). ამ ტიპის ინვესტიციებმა შეიძინეს უდიდესი მნიშვნელობა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, გახდნენ რა უახლესი საწარმოო საშუალებების ეფექტური ტრანსმისიის წყარო განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადი გახდა გადამწყვეტი ფაქტორი საბაზრო სისტემების ფორსირებული შექმნისა და გარდამავალი ეკონომიკების რესტრუქტურისაციის პროცესში. ბევრმა გამოკვლევამ დაამტკიცა მჭიდრო კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას

შორის, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის, ასევე, - პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასა და ექსპორტის მაჩვენებლებს შორის (Dyker, 1999). ამ გამოკვლევების უდიდესმა ნაწილმა დაადასტურა, რომ წარმატებულმა გარდამავალმა ეკონომიკებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს და ზრდას შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებით, - ერთის მხრივ, მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერის და მეორეს მხრივ, ე.წ. პროდუქტიულობის "სპილო-ვერების" (განვრცობითი ეფექტების) ხარჯზე.

ამავე დროს, მიუხედავად ერთის შეხედვით დადებითი ურთიერთკავშირის უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის, სპეციალურ ლიტერატურაში არ არის სრული კონსენსუსი ამ კავშირის ზუსტი ბუნების შესახებ, რაც განპირობებულია ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, რომ უპი-ს შემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე და მისი სარგებლიანობა არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორებსა და ცვლადებზე. ასევე არ არის ცალსახა პასუხი, თუ რა მასშტაბის სარგებლობა მოაქვს უცხოური კაპიტალის შემოდინებას ადგილობრივი ეკონომიკისთვის. ზრდის ნეოკლასიკური თეორიის მოდელის თანახმად, უცხოური ინვესტიციები გავლენას არ ახდენენ გრძელვადიან ზრდაზე; თუმიცადა, აღნიშნული თეორია აღიარებს, რომ უპი-ს ახდენს პოზიტიურ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, თუკი იგი ამაღლებს ტექნოლოგიების და დასაქმების დონეს ქვეყანაში. განსხვავებით ნეოკლასიკური თეორიისაგან, ენდოგენური ზრდის თეორია გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მეტ ადგილს უთმობს უპი-ს ეფექტების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. ამ თეორიის მიხედვით, უპი-მ შეიძლება იმოქმედოს ზრდის ტემპებზე მისი გავლენით ადამიანურ კაპიტალზე, კვლევისა და განვითარების, ასევე ცოდნის დიფუზიისა და ექსტერნალიების მეშვეობით რაც თავის მხრივ, შედეგობრივად იწვევს პროდუქტიულობის ზრდას. ბოლოდროინდელი ზოგიერთი კვლევა (Borenstein et al, 1998) კიდევ უფრო განავრცობს მსჯელობებს და ამტკიცებს, რომ უპი-ს შეიძლება ჰქონდეს დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე იმისდა მიხედვით, თუ როგორია ადამიანურის კაპიტალის დონე და კაპიტალის ათვისების შესაძლებლობები ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. სხვები (Estrin et al, 1997) თანხმდებიან იმაზე რომ უპი-ს შედეგი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და იმისდა მიხედვით თუ როგორ არის განხორციელებული ეს ინვესტიცია. ამავე დროს, აღიარებულია, რომ უპი-ს მთელი რიგი ეფექტების იმთავითვე შეფასება საკმაოდ რთულია.

წარმოდგენილი ნაშრომი არის მცდელობა იმისა, რომ მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ უპი-ს გავლენის გააზრებაში გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე და ამაღროულოად, დავაკვიროთ ამ გავლენის (ეფექტის) ხასიათი და მოცულობა ინვესტიციების მიმღები ქვეყნების შესაბამის პოლიტიკასთან.

მთავარი მოტივაცია გახლავთ ის, რომ ყველა გარდამავალი ეკონომიკისათვის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, დაჩქარებული ზრდა წარმოადგენს მეტად კრიტიკულ აუცილებლობას. ამდენად, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმის გარკვევა: ა) დაკავშირებულია თუ არა ეკონომიკური ზრდის დაწყების უპი-ს მზარდ შემოდინებასთან; ბ) შევისწავლოთ უპი-სთან დაკავშირებული განსხვავებული იმპლიკაციები; გ) მოვაზნინოთ

იმ საშუალებების იდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დადებითი ეფექტების მიღებას; დ) განვსაზღვროთ ის ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტია ქვეყნისთვის უპი-დან როგორც სარგებლობის მიღების, ისე მასთან დაკავშირებული ყველა დადებითი ეფექტის მაქსიმიზაციისთვის.

სხვადასხვა ემპირიული გამოკვლევების ობიექტური შესწავლის და ანალიზის საფუძველზე, ეს ნაშრომი ამტკიცებს, რომ უპი-ს ეფექტიანობა, მისი ხასიათი და მოცულობა უდიდესწილად არის დამოკიდებული ინვესტიციების მიმღები ქვეყნების მთავრობების პოლიტიკაზე და საინვესტიციო რეჟიმზე, რომელიც არსებობს ამ ქვეყნებში. ჰიპოთეზა აგებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების "სპილოვებებსა" (განვრცობითი ეფექტები) და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთმიმართების ფორმატში. ასეთი ფორმატი არჩეულია ორი მიზეზის გამო. პირველი, იმის გამო, რომ უპი-ს განვრცობითი ეფექტები და ექსტერნალები (ცოდნის ტრანსფერის, და ადგილობრივ და ტრანსნაციონალურ ფირმებს შორის კავშირების ჩათვლით) მიჩნეულია მთავარ ფაქტორად მიმღები ქვეყნის ტექნიკური პროგრესის და პროდუქტიულობის ზრდისთვის, მეორეც, იმიტომ, რომ მკვლევარის ვარაუდით, ეს ფორმატი უკეთესად ასახავს ურთიერთმიმართებას უპი-ს სარგებლიანობასა და მთავრობის სათანადო პოლიტიკას შორის. ამ ჰიპოთეზის თანმიმდევრული დაცვისათვის გაანალიზებულია რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მექსიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მაგალითზე.

შემდგომში დამატებით გამოვიკვლევთ, თუ რა სახის დამატებითი ან ალტერნატიული სამთავრობო პოლიტიკის გატარებაა საჭირო უპი-ს სარგებლიანობის მაქსიმიზაციისთვის განვითარების პროცესში. ეს მოიცავს აგრეთვე იმის გარკვევას, თუ რამდენად მიზანშეწონილია სამთავრობო ჩარევა და ნეიტრალურ, პასიურ პოზიციაზე უარის თქმა. შესაბამისად, ძირეული მიზანი ამ მიმართულებით კვლევისა არის წარმოაჩინოს მთავრობის პროაქტიული და უფრო ენერგიული როლის მნიშვნელობა ამ პროცესში. დასასრულ, ნაშრომი შეეხება საქართველოს საკითხს, სადაც გვთავაზობს დასკვნებს, რომელთა გაკეთება შესაძლებელია წარსული და თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევის სტრუქტურა ამგვარად წარმოდგენილია შემდგენიარად; მე-2 თავი წარმოადგენს შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვას. ის აშუქებს მთავარ კონცეპციებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის უპი-ს მნიშვნელობის შესახებ და დაწვრილებით იკვლევს მის პოტენციურ სარგებლიანობასა და შესაძლო ნაკლოვანებებს; ისვე მოიცავს წინასწარი ემპირიული მონაცემების შესაბამის სპექტრს. მე-3 თავი განიხილავს იმ გზებსა და პოლიტიკებს, რომელიც აუცილებელია უპი-ს დადებითი ეფექტის მაქსიმიზაციისთვის. ამ მიზნით, აღნიშნულ თავში გაანალიზებულია ურთიერთმიმართება უპი-ს განვრცობით ეფექტებსა (სპილოვებები) და ეკონომიკურ ზრდას შორის, და გამოთქმულია ვარაუდი რომ თავისუფალი საინვესტიციო გარემოს და ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ს კომბინირება დადებითად აისახება ამ უკანასკნელზე და შესაბამისად ზრდის უპი-ს განვრცობითი ეფექტების მოცულობას და მის მიზიდველობას, ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მოყვანილია ორი ქვეყნის მაგალითი (case study). მე-4 თავი განიხილავს სხვა მიმღები ქვეყნების პოლიტიკას, გამოყენებულს უპი-ს

შედგენიანობის ზრდისთვის. მე-5 თავი განიხილავს უპი-ს სტატუსს და მომავალ შესაძლებლობებს საქართველოში და ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკის და ახლებური მიდგომის მნიშვნელობას უპი-ს მიმართ. მე-6 თავი შეიცავს სათანადო დასკვნებს და რეკომენდაციებს.

თავი 2

ლიტერატურის მიმოხილვა, პრაქტიკული და თეორიული ასპექტები

2.1 რატომაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანი?

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ შესავალ ნაწილში. ამ თავში უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ ამგვარი ინვესტიციების როლსა და მნიშვნელობას. ცნობილია, რომ ინვესტირება არის ერთ-ერთი იმ სამ კომპონენტთან (ინვესტიცია, მოხმარება და დაგროვება), რომელიც თამაშობს ერთ-ერთ უმთავრეს როლს ქვეყნის ეკონომიკის წარმოებაში. რაც უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყანა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ძირითადი კაპიტალის აკუმულირებისათვის, "მით უფრო მაღალია დონე წარმოების, დასაქმების, შემოსავლების, მსყიდველობითუნარიანობის, მოხმარების და დაგროვების" (GIPA, 2003:2). შესაბამისად, კაპიტალი (ინვესტიცია) წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის არსებით და მამოძრავებელ ძალას. იბადება კითხვა – რატომ ითვლება უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის განვითარების და მდგრადი ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად?

ადრეული 1990-იანი წლების ყოფილი საბჭოთა კავშირის და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალი საბაზრო ეკონომიკის ზრდა მოითხოვს დიდძალ კაპიტალს. ერთდერით გზა, რითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია არის ინვესტირება. მართალია, არსებობს თეორიული შესაძლებლობები შიდა ინვესტირებისა, მაგრამ ის საჭიროებს ადგილობრივი დანაზოგების გარკვეულ დონეს და მნიშვნელოვან შემოსავალს ექსპორტიდან. სწორედ ამაში მდგომარეობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უპირველესი პრობლემა, რაც აბრკოლებს მათი განვითარების პროცესს: ამ ქვეყნებს აქვთ დანაზოგების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) ძალიან დაბალი დონე, ისევე როგორც, შემოსავლების მობილიზების მწირე საშუალებები, რაც აუცილებელია სახელმწიფო დანაზოგების დონის ამაღლებისთვის. შედეგად, გვაქვს ძირითად კაპიტალში ინვესტირების ძალიან დაბალი მარეწებელი. უფრო მეტიც, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობას რომც ქონოდა საკმარისი შემოსავლები დანაზოგების და შესაბამისად

აკუმულირების მაჩვენებლების გასაზრდელად, გაუმართავი ინფრასტრუქტურა შეუძლებელს გახდიდა ეკონომიკურ ზრდას ახლო მომავალში მხოლოდ შიდა ძალისხმევის ხარჯზე. ასეთ დროს, სუსტი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის შეზღუდვითა და მოზიდვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაპირობებენ შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და კეთილდღეობის გენერირებას, რაც წამოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს როგორც პირდაპირ, ასევე ირიბი, ე.წ. "შეჯგუფების ეფექტის" წყალობით (UNCTC, 1992). გარდა ამისა, უცხოური ინვესტორების მიერ გადახდილი გადასახადებიდან მიღებული ახალი შემოსულობები ზრდის საშემოსავლო კალათას და ეს იძლევა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და არსებული ადამიანის კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობას. ამრიგად, უცხოური კაპიტალის შემოდინების მნიშვნელობა და განსაკუთრებით გრძელვადიანი და სტაბილური პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა, იქნის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ასეთი ქვეყნებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად მხოლოდ კაპიტალის შემოდინება როგორც ასეთი, როლი უზრუნველყოფს ყოვლისშემცველ პანაცეურ გადაწყვეტას წარმატებული განვითარებისთვის. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გარდა, წარმატებული განვითარების პარადიგმა მოითხოვს უახლეს ტექნოლოგიებსა და მოწინავე მენეჯერულ გამოცდილებას, რასაც შეუძლია განაპირობოს მიმღები ქვეყნების წარმოების დონის, მათი შრომის ნაყოფიერებას ზრდა განვრცობითი ეფექტებისა და პოზიტიური გარე ფაქტორების (ექსტერნალიები) საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეს კომპონენტი – ე.წ. ექსტრა-ფინანსური სარგებელი – შესაძლოა, ყველაზე უფრო ფასეულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ უკი წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და დანერგვის ეფექტურ საშუალებას. როგორც წესი, მას მოაქვს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ასევე ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტების მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ინოვაციების დინამიური ათვისების საშუალებას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს თან ახლავს უცხოელი ინვესტორების მიერ უწყვეტი ინციტატივები, რაც ორიენტირებულია მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებისკენ და გამოიხატება ადგილობრივი მუშა ხელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობ ტრენინგებში, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვაში (Moran, 1998).

კიდევ უფრო მნიშვნელოვან შედეგს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა წარმოადგენს ე.წ. **ტექნოლოგიური დიფუზია**, რაც გულისხმობს იდეების და მოწინავე ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის ზრდის მასტიმულირებელი განვრცობითი ეფექტების ტრანსმისიას, ნოუ-ჰაუების გაზიარებასა და დანერგვას, ცოდნაზე დაფუძნებული კაპიტალისა და გამოცდილების შექმნას, რაც წარმოად-

გენს აუცილებელ ფაქტორებს ეკონომიკური განვითარებისათვის. უპი-სთვის დამახასიათებელი პოზიტიური სპილოვერებისა და გარე ეფექტებისა გამოისობით, ამგვარი ტექნოლოგიური დიფუზიიდან გამომდინარე სარგებლის ბენეფიციარი ხდება არა მარტო ამ ტიპის ინვესტიციის მიმღები კონკრეტული ფირმა, არამედ მთლიანობაში მოცემული ქვეყნის მთელი ეკონომიკა.

ზემოაღნიშნული სპილოვერები - ცნობილი როგორც საწარმოო (პროდუქტიულობის) სპილოვერები, - არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომელიც ზემოქმედებს მიმღები ეკონომიკის ტექნიკური პროგრესის ტემპზე. მას შეუძლია წარმართოს პროდუქტიულობის გაზრდა და გაუმჯობესება სხვადასხვა გზებით. ყველაზე პრიმიტიული ფორმით, სპილოვერებს ადგილი აქვთ მაშინ, როცა ადგილობრივი ფირმის მიერ პროდუქტიულობის გაზრდა ხდება ზოგიერთი იმ ტექნოლოგიის ან ცოდნაზე დაფუძნებული იმ გამოცდილების გადაღების გზით, რომელთაც იყენებს უცხოელი ინვესტორი მოცემულ სექტორში. გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის პროექტის ყოფილ თანამშრომლებს შეუძლიათ თავისი ახლად მიღებული გამოცდილება გადასცენ მიმღები ქვეყნის სხვა თანამშრომლებს, რაც იწვევს განვითარების ჯაჭვურ რეაქციას მთელ სექტორში. ამავედროულად, წარმოიქმნება დარგთაშორისი და არაპირდაპირი დადებითი ეფექტები: თუ შრომა და ცოდნა გადადის სექტორიდან სექტორში, ტექნოლოგიური დიფუზია ხდება უფრო ფართო მოცულობით. მსოფლიო ბანკისთვის მომზადებულ სპეციალურ ნაშრომში, ჯენკოვი და ჰეკმანი (Djankov & Hoekman 2000) ხაზს უსვამენ აღნიშნული ეფექტის უდიდეს მნიშვნელობას გარდასავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნებისათვის. რამდენადაც მათი აზრით, "რასაც ეკონომიკური ზრდისთვის აქვს რეალურად მნიშვნელობა, ეს არის განვრცობითი ეფექტები - სპილოვერები სხვა ფირმებისთვის დარგის შიგნით და დარგთაშორის".

სპილოვერების მნიშვნელობის და ამ ნაშრომის უმთავრესი მიზნის გათვალისწინებით, უპრიანია ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება უპი-ს თანმდევი განვრცობითი ეფექტები. ლალლი (Lall, 1980) ამგვარ ინსტრუმენტად განიხილავს კავშირს უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ მიმწოდებელს შორის. ის წარმოგვიდგენს მრავალეროვნულ საწარმოსა და ადგილობრივ მიმწოდებელს შორის ურთიერთობის რამდენიმე ფორმას, რომელთაც შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდისა და გაუმჯობესების სტიმულირება. ესენია:

- მომაველი მიმწოდებლისთვის დახმარების ვაჭევა რათა ამ უკანსაკნელმა დანერგოს პროდუქციის წარმოებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები;
- ადგილობრივ მიმწოდებლისგან სანდო და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღების მოთხოვნა;
- ადგილობრივი მიმწოდებლის უზრუნველყოფა ტექნიკური მხარდაჭერით წარმოებული პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით;
- მეხეჯემენტისა და ორგანიზების სფეროში ტრენინგისა და დახმარების უზრუნველყოფა;
- მიმწოდებლების დახმარება დამატებითი მომხმარებლების მოპოვებასა და საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობაში, მათ შორის, მათი საკუთარი ფილიალების

და სხვა გლობალური /რეგიონალური შემსყიდველების სახით შედეგად, ადგილობრივი მიმწოდებელი ახერხებს თავისი პროდუქციის ექსპორტირებას საერთაშორისო ბაზრის ფართო სექტორებისათვის. მრავალეროვნული საწარმოს მიერ კი განაწილების ასეთი გლობალური არხების გამოყენება და მისი შუამავლობა საერთაშორისო ბაზრების მოპოვებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის უპი-ს როლს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

უპი-ს ზემოაღწერილი ექსტრა-ფინანსური ეფექტი და სარგებელი ობიექტურად არის შეჯამებული საშის (Sass, 2003; 3) მიერ. ამ დასკვნებზე დაყრდნობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს პროდუქტიულობის გაუმჯობესების მძლავრ ინსტრუმენტს ერთის მხრივ, განვითარებული ტექნოლოგიების ტრანსფერის გზით, და, მეორეს მხრივ, დადებითი გარე ეფექტების გამოწვევით კორპორატიული კავშირებისა და სპილოვერების მეშვეობით. მრავალი ნაშრომი ცხადყოფს უპი-ს სპილოვერებსა და გაზრდილ პროდუქტიულობას შორის პოზიტიურ ურთიერმიმართებას, ეს უკანასკნელი კი განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

2.2. თეორიული დასაბუთება

მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღწევებისა და უპირატესობებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ცალსახა პასუხი თეორიაში, თუ რა მოცულობის დადებითი სარგებელი მოაქვს უცხოური კაპიტალის შემოდენას მიმღები ეკონომიკისთვის. როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეული ზრდის ანალიზი ხდება სტანდარტული ნეოკლასიკური ზრდის მოდელის ჩარჩოში, ეს უკანასკნელი განიხილავს მას, როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ძირითად კაპიტალზე დანამატს. უპი განიხილება თანაბრად ადგილობრივ ინვესტიციებთან ერთად და შესაბამისად ისინი არ მოიაზრება რამდენადმე განსხვავებული ეფექტის მატარებლად. ამ მოდელის თანახმად, უპი არ იწვევს ხანგრძლივი ზრდის ეფექტს, თუმცა ამავედროულად, ნეოკლასიკური ზრდის მოდელი აღიარებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე, თუკი ამგვარი ინვესტიციები ამაღლებს ტექნოლოგიების და დასაქმების დონეს ქვეყანაში (Sass, 2003).

განსხვავებით ნეოკლასიკური თეორიისგან, ახალი **ენდოგენური ზრდის თეორიის** მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეულ ეფექტებს ეკისრება გაცილებით მასშტაბური როლი ეკონომიკურ ზრდაში. ამ მოდელის მიხედვით, არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პერმანენტული ხასიათის ზემოქმედება ზრდაზე. კამპოსის (Campos, 2002) აზრით, მოსახერხებელია თუკი ვიფიქრებთ ამ განსხვავებულ ეფექტებზე იმის გააზრებით თუ როგორ ზემოქმედებს უპი წარმოების ფუნქციის თითოეულ ცვლადზე. ამ მიდგომაზე დაყრდნობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პირველ რიგში, ზემოქმედებენ პროდუქციის გამომუშავებაზე ძირითადი კაპიტალის გაფართოების მეშვეობით. ამ კონტექსტში, უცხოური და ადგილობრივი კაპიტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დანამატი ან შეიცვალელი. თუკი ამ

ინვესტიციებს განვიხილავთ, როგორც დანამატს, მაშინ უპი-ს საბოლოო ზეგავლენა პროდუქციის გამომუშავებაზე მოსალოდნელია იყოს უფრო დიდი მისი თანმდევი ეგზოგენური ფაქტორების (ექსტერნალების) გათვალისწინებით. ამასთანავე, უპი-ს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, წარმოადგენს რა მნიშვნელოვან წყაროს ადამიანური კაპიტალის ზრდისა და ტექნოლოგიური განახლების. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინვესტიციაზე უკუგება მცირდება, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ შეიძლება იმოქმედოს ზრდაზე დადებითი სპილოვებითა და გარე (არასაბაზრო) ეფექტებით. ამ ეფექტებში შეიძლება მოვიპოვოთ ე.წ. "ცოდნის გაჟონვა" მიმღებ ეკონომიკაში შვილობილი კომპანიის მეშვეობით, ასევე შვილობილ კომპანიასა და ადგილობრივ კომპანიებს შორის ურთიერთობის მეშვეობით. ამათგან პირველი - საზოგადოებრივ ცნობილი როგორც "ცოდნის დიფუზია" – განიხილება მამოძრავებელ ძალად ეკონომიკის გრძელვადიანი, ხანგრძლივი ზრდისთვის. წარმოადგენს რა ცოდნის მოპოვებისა და გავრცელების არსს, უპი ამგვარად მოქმედებს როგორც მასტიმილურებელი მექანიზმი ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

2.3. ძირეული კონცეპციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირად ერევათ უცხოურ პორტფელურ ინვესტიციებში (portfolio investments), რომელიც ძირითადად გულისხმობს უცხოური აქციების შესყიდვას ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე, რაც არ ითვალისწინებს მონაწილეობის მიღებას მენეჯმენტში, მშენებლობას ან ფიზიკური კაპიტალის შესყიდვას რომელიც წარმოადგენს წარმოების საშუალებას. ამის საპირწონედ, უპი წარმოადგენს ინვესტიციის იმ სახეობას, რომელიც აძლევს უცხოელ ინვესტორს შესაძლებლობას განახორციელოს პირდაპირი და გრძელვადიანი კონტროლი მოცემულ ეკონომიკურ ერთეულში და დააბანდოს რესურსები კონკრეტულ ბიზნეს პროექტში. უპი განიხილება, როგორც უფრო სტაბილური, გრძელვადიანი ინვესტიცია, რაც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას და ვალდებულების აღებას, რომლის გადახედვა და შეწვეტა იოლი არ იქნება. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს და თავისი წვლილი შეაქვს მიმღები ქვეყნის ზოგადად მწირი კაპიტალური რესურსების შევსებაში. - ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს, უნარ-ჩვევების და გამოცდილების მოხერხებული ფორმით ტრანსფერში და ამავდროულად, ის არ წარმოშობს საერთაშორისო ვალს.

პრაქტიკაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: სრულიად ახალი საწარმოს შექმნის გზით (**greenfield investments**), საწარმოების შერწყმით და გაერთიანებით, ხელახლა ინვესტირებული შემოსავლით, კომპანიათაშორისი სესხებით და კომპანიის საქმიანობაში უცხოური მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმით. მათ შორის, უმნიშვნელოვან-

ესია სრულიად ახალი საწარმოს შექმნა, საწარმოების შერწყმა და გაერთიანება. ეს უკანასკნელი შეიცავს კერძო კომპანიების აქტივების შექმნას და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას, მაშინ როცა სრულიად ახალი საწარმოს შექმნა მოიაზრებს საბაზო და ახალ კაპიტალურ ინვესტიციებს მრავალეროვნული საწარმოს მიერ უცხოური შვილობილი კომპანიების დაფუძნების მეშვეობით. განვითარების თვალსაზრისით და სამომავლო პერსპექტივიდან ჩანს, რომ ორივეს, როგორც ინვესტიციებს ნულიდან, ისე შერწყმასა და გაერთიანებას, შეუძლიათ განახორციელონ პოზიტიური ეფექტები მიმდებ ქვეყნებზე, თუმცა მათი ზემოქმედების მოცულობა შეიძლება იყოს ცვლადი.

ამასობაში, უპი-ს ყველა მოდელი და ფორმა დაფუძნებულია ინვესტორთა სხვადასხვა მოსაზრებებზე და გააჩნია განსხვავებული დეტერმინანტები. თანმიმდევრული და ფრთხილი მიდგომით საჭიროა კატეგორიზაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრელი ფაქტორებისა, რათა შევძლოთ ინვესტიციების წამახალისებელი პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება. ფაქტორები და პირობები, რომლებიც არიან უპი-ს დეტერმინანტები (განმსაზღვრელები) იყოფა ორ დიდ ჯგუფად: *კომპანიის სპეციფიურ და მიმღები ქვეყნისთვის სპეციფიურ დეტერმინანტებად.*

კომპანიის სპეციფიური ფაქტორი ისეთი ფაქტორია, რომელიც ასტიმულირებს ფირმებს გააკეთონ ინვესტიციები საზღვარგარეთ, ან შესთავაზონ მაინც უპირატესი შესაძლებლობა ან მხარდაჭერა პროდუქციის ინტერნაციონალიზაციისთვის, - ისეთი ფაქტორების ჩათვლით როგორცაა: ტექნოლოგიური წინსვლა და ნოუ-ჰაუ, მენეჯერული უნარ-ჩვევები და გამოცდილება, პროდუქტის დიფერენციაცია, დიდი მოცულობა და ბაზრის ძალა, კვლევისა და განვითარების შესაძლებლობა და ა.შ. სხვა კომპანიის სპეციფიური ფაქტორები, ისეთი როგორცაა მაგალითად ხარჯის ფაქტორი, შეიძლება დავუკავშიროთ კომპანიის ძალისხმევას გაზარდოს შემოსავლები ხარჯების შემცირებით. სხვა შესაბამისი ხარჯის ფაქტორები ასევე მოიცავს: *"მასშტაბის ეფექტის"* გათვალისწინებას ანუ ეკონომიას განპირობებულს წარმოების მასშტაბის ზრდით, ასევე, წარმოების ხარჯს, და სამომხმარებლო კაპიტალის ხარჯს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში (Shatz – Venables, 2000).

მიმღები ქვეყნისთვის სპეციფიური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს კვლევის მიზნებისთვის. კომპანია, რომელსაც უჩნდება სურვილი მიიღოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაში მონაწილეობა, შეისწავლის ადგილობრივ ალტერნატივებს, რათა დარწმუნდეს მომგებიანობაში. მიმზიდველობა საინვესტიციო ქვეყნისა/ადგილისა დამოკიდებულია ზოგადი განვითარების დონეზე; განვითარების ამგვარი მინიმალური დონე აუცილებელია თუკი ქვეყანას არა აქვს უნიკალური მახასიათებლები ან ადვილად განსაზღვრებადი და ათვისებადი ბუნებრივი რესურსები. თუმცა, უფრო წინაწახეული და რთული საწარმოო, სერვისული და მანუფაქტურული საქმიანობისათვის მრავალეროვნული და ტრანსნაციონალური საწარმოები ეძებენ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც თავაზობენ უკეთეს შესაძლებლობებს, ხელშემწყობ პირობებსა და შეღავათებს მინიმალური დანახარჯებით. ქვეყნის სპეციფიური ფაქტორებიდან დე მელლო (De Mello, 1997) გამოყოფს მი-

მღები ეკონომიკის ინსტიტუციურ თვისებებს. ესენია: პოლიტიკური სტაბილურობა, დემოკრატიის დონე, უპი-ს მარეგულირებელი ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზა და შესრულებასე ორიენტირებული კონტრაქტები, საკუთრების სტატუსი და ინტელექტუალური ქონების უფლებები, ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევის ხარისხი, ბიუროკრატიული პროცედურები, გადასახადების სისტემა და საგადასახადო შეღავათები; ღიაობა, საბაზრო რეფორმები, ჯანსაღი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათების არსებობა, იმპორტის და ექსპორტის რეგულაციები. დე მელო ასევე ხაზს უსვავს ისეთ მასშტაბის ეფექტის შემცველ ფაქტორებს, როგორცაა საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული შეზღუდვები და ადგილობრივი ბაზრის სიდიდე. ყველა ამ ფაქტორს დე მელო განიხილავს როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკის "ამთვისებელ შესაძლებლობებს".

რამდენადაც წინამდებარე კვლევა ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლს გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებზე, რომლებიც იყვნენ გადამწყვეტი და დომინანტური უპი-ს ამ ქვეყნებში მოზიდვისთვის. ბალტიის რეგიონში, ინვესტიციების წამახალისებელ ეროვნულ სააგენტოებზე დაყრდნობით, (Hirvansalo, 2001) ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ბალტიის სახელმწიფოებში მრავალნაციონალური საწარმოების მზარდი ინტერესისა იყო საკუთრივ ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. ამას თან დაერთო კეთილგანწყობილი პოლიტიკური კლიმატი, დაბალი ხარჯების და მაღალკვალიფიკაციური (პროდუქტიული) სამუშაო ძალის პოზიტიური ნაერთი, კარგად განვითარებული ტელეკომუნიკაციების სექტორი და ინფრასტრუქტურა. ეს უკანასკნელი ბოლო დრომდე რჩებოდა უმთავრეს პრობლემად საქართველოში, სადაც საკმაოდ ღირებულური საინვესტიციო გარემოს მიზიდველობა კინდებოდა მწირი ინფრასტრუქტურით და მომსახურების სფეროთი (AmCham, Patsuria, 2005).

ღიდი ნაწილი ზემოთ ნახსენები ფაქტორებისა (დეტერმინანტები) გადამუშავებულია მაიკლ პორტერის (Michael Porter, 1998) ეროვნული **კონკურენტული უპირატესობების** ანალიტიკურ მოდელში. ეს მოდელი არტიკულირებს უკეთეს იმ გარემოებას რომ ეროვნული კონკურენტული უპირატესობების არსებობა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისთვის მიმღებ ქვეყანაში. ამ მოდელის მიხედვით, კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისათვის არსებითია შემდეგი ფაქტორების არსებობა:

- ა) ქვეყნის მიერ როგორც ტრადიციული ისევე განვითარებული წარმოების საშუალებების ქონა;
- ბ) დაბალი ხარჯის და მაღალი კვალიფიკაციის მიზიდველი კომბინაცია;
- გ) მომთხონი და მაღალ სტანდარტზე ორიენტირებული მომხმარებლის ღიდი და მზარდი რაოდენობა მიმღებ ქვეყანაში;
- დ) მიმღებ ეკონომიკაში კარგად განვითარებული მიმწოდებელი საწარმოების არსებობა და მრავალეროვნულ და ადგილობრივ მზარდამჭერ ინდუსტრიებს, საწარმოებს შორის ე.წ. "უკუკავშირების" დამყარების შესაძლებლობები.

დამატებით, ეს მოდელი ხაზს უსვამს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომ-

ლებიც მოიზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ესენია: კონკურენციის და შეჯიბრებითობის მაღალი დონე, კვლევის და განვითარების ძლიერი ინსტიტუციები, უნივერსიტეტები და მაღალკვალიფიციური, განათლებული, გაწვრთნილი პერსონალი, რომელიც მოტივირებულია აითვისოს ინოვაციები. სტაბილური პოლიტიკური კლიმატი ასევე აღიარებულია უმნიშვნელოვანეს ფაქტორად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის.

2.4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბენეფიციები და ნაკლოვანებები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის შემდგომი შეფასება გვთავაზობს ობიექტურ ანალიზს როგორც მისი პოტენციური სარგებლიანობის, ასევე შესაძლო თანმდევი ნაკლოვანებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმეტესწილად ითვლება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ქვეყნის განვითარებისთვის, შესაბამის ლიტერატურაში მაინც არაა გამოკვეთილი ერთსულოვანი პოზიცია უპი-ს ზემოქმედების საერთო ბუნებასა და მიმართულებაზე.

წინა თავში, ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ უპი-ს პოტენციური შესაძლებლობები, რომელიც შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგნაირად:

1. *კაპიტალის აკუმულირების და შიდა დანაშოვნების შექსების გზით, უპი-ს ძალუძს ახალი სწარმოო რესურსების, ნედლეულისა და სხვა ნაკადების ინექცია წარმოებაში.*
2. *პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შესწევს უნარი გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და პროდუქტიულობა ტექნოლოგიების განახლებით, ადამიანური კაპიტალის ზრდისა და გაუმჯობესების გზით.*
3. *უპი-ს მიყვარათ ე.წ. „ტექნოლოგიური დიფუზიისკენ“ – იდეათა ტრანსფერი, ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაპროვოცირებელი ეგზოგენური ეფექტები და სპილოვერები, ნოუ-ჰაუს განხიარება და კულტივირება; ეველა ეს ფაქტორი არის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური განვითარებისათვის.*
4. *პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის სწარმოო პოტენციალი და პროდუქტიულობა სხვადასხვა განვრცობითი ეფექტებით და ექსტერნალიებით.*

ამავდროულად, პოტენციური პროდუქტიულობის სპილოვერები როგორც არაერთგზის აღინიშნა, ითვლება განსაკუთრებით მაღალი ღირებულების მატარებლად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. მრავალი კვლევები (Blomstrom, 1990; Moran, 1990; 2002) ამტკიცებენ, რომ ამ სლიპოვერების ფართო განფენილობის და თვალსაჩინო გარე ეფექტების მეშვეობით უპი-ს შეუძლია გაარღვიოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის მანკიერი ზღვარი და გამოიწვიოს ექსპორტის ზრდა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობასთან ერთად. მეტიც, მორანი (Moran, 1998) ამტკიცებს, რომ მიმღები ქვეყნის სათანადო სამთავრობო პოლი-

ტიკა შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი ამ სპილოვერების პოზიტიური ეფექტების და სარგებლიანობის მაქსიმალიზაციისთვის.

სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა შეგვიძლია შემდგენიარად შევაჯამოთ:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტიმულს აძლევს სხვა მრავალნაციონალურ საწარმოებს/უცხოურ ფირმებს შევიდნენ ადგილობრივ ბაზარზე და შეუშვან თავიანთი კაპიტალი და სხვა შესაძლებლობები მიმღებ ქვეყანაში.

- უბი აწესრიგებს და აუმჯობესებს გადასახადების აკრეფვას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე.

- უცხოელი ინვესტორები ეხმარებიან ადგილობრივ ფირმებს შეადგინონ გლობალურ/რეგიონალურ ქსელებში და სტრუქტურებში.

- უბი ზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც საბოლოო ჯამში მიეყვართ კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ.

- უბი ასოცირდება მაღალ ხელფასებთან, მოვებისა და რენტაბელურობის მაღალ კოეფიციენტებთან და შიდა ინვესტიციების შესაძლებელ ზრდასთან რაც თავის მხრივ, განპირობებულია კონკურენციის ზრდით (De Mollo, 1997).

- აგრეთვე, უბი განიხილება როგორც მყარი ვალუტის მნიშვნელოვანი წყარო და აძლევს საშუალებას ეროვნულ მთავრობებს დააფინანსოს სავადამზდებლო ბალანსის დეფიციტი.

თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, ყველა ექსპერტი ერთხმად არ იზიარებს უბი-ს ამგვარ როლს მიმღებ ქვეყანაში. ზოგიერთი (Estrinetal, 1997:31) მათგანი თვლის, რომ უბი-ს გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე „შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, იმის მიხედვით, თუ რა გზით ხორციელდება ესა თუ ის ინვესტიცია“. ექსპერტების ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე რომ საჭიროა უფრო დეტალური კვლევა სტრატეგიებისა და ეფექტების, რათა მინიმუმამდე დავიდეს კაპიტალისა და სასაქონლო ბაზრების უბი-თ გამომწვეული შესაძლო უარყოფითი გვერდითი ეფექტები. ველის (Well, 1986:26) მიხედვით, „უცხოური ინვესტიციები შეძლებენ დაეხმარონ ეკონომიკის განვითარებას, თუ ისინი უფრო ხელს შეუწყობენ და თავიანთ წვლილს შეიტანენ ეროვნული შემოსავლის ზრდაში, ვიდრე პირიქით, მის ექსტრაგირებაში“.

მწვავე კრიტიკის დონა მოდის იმ ცენტრალურ კავშირზე, რომელიც არსებობს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს შორის. კარდოსოსა და დორნბაჰის (Cardoso & Dornbusch, 1989) მიხედვით, მრავალეროვნული კომპანიები ოპერირებენ იმ ინდუსტრიებში და საწარმოებში, სადაც შესვლის ზღვარი არის ძალიან მაღალი და შედლწვეა ძნელია, რითაც ეს კომპანიები უფრო მეტად ზრდიან ვიდრე ამცირებენ ბაზრის კონცენტრაციას. შემოსავლების ექსტრაგირებით და კაპიტალის გადაქაჩვით, მათ შესაძლებელია შეამცირონ ადგილობრივი დანახოვები და ინვესტიციები იმის ნაცვლად რომ ხელი შეუწყონ მათ შორის ამ სხვაობის და უემარისობის ამოვსებას. ესტრინი და სხვები (Estrin et al, 1997:31) განიხილავენ ზოგიერთ კვლევებს, სადაც აღწერილია მრავალეროვნული საწარმოს მანკიერი ანტიკონკურენტული პრაქტიკა ისეთი, როგორიცაა ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტების და ინვესტიციების ”განდევნა”, ადგილობრივი ფირმებისგან მწირი რესურსების (კვალიფიციური მუშაკე-

ბი, კრედიტი) ”გადაქაჩვა”, ადგილობრივი მიმწოდებლების ქსელის შევიწროება, საკუთარი ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პროფილეგირებული საკანონმდებლო დაცვის ძალისხმევა და პატრონაჟი, და დასავლური ლობირების პრაქტიკის გამოყენება განსაკუთრებული უპირატესობის მიღწევისათვის. კომისისინა, თავის ნაშრომში (Kommissina, 2005:5:8-12) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ანტიკონკურენტულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ უცხოელი ინვესტორები ყოფილი სსრკ-ს ზოგიერთ ქვეყანაში. კერძოდ, საილუსტრაციოდ მას მოჰყავს კორეული Daewoo-ს მაგალითი უზბეკეთსა და უკრაინაში, სადაც ის განუწყვეტლოვ იბრძოდა განსაკუთრებით პროტექციონისტული პირობების და სუპერ-პროფილეგირებული მდგომარეობის მოსაპოვებლად, რაც მკვლევარის აზრით, „სრულიად მიუღებელია თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი კონკურენტული გარემოსთვის“.

აფასებენ რა უპი-ს თანმდევ გარე ეფექტებს (Blomstrom et al, 1998), ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განვითარების და საბაზრო ეკონომიკაზე ტრანზიციის საწყის ეტაპზე შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური ეფექტები მიმდებ ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით ეხება „ბაზრის მისაკუთრების“ ეფექტს მაშინ როდესაც ადგილობრივი ფირმები არ არიან კონკურენტუნარიანი უცხოელ პარტნიორებთან შედარებით და ამის გამო ამ უკანასკნელთა მიერ განიღვენებიან ბაზრიდან. არსებობს სხვა კვლევები (Aitken and Harrison, 1991) სადაც გამოთქმულია ეჭვი ტექნოლოგიური სპილოვების დადებითი გავლენის რეალური მოცულობის თაობაზე ადგილობრივ ფირმებსა და კომპანიებზე. ამ კრიტიკული ნაშრომების ავტორები თვლიან, რომ მოკლე ვადიან პერსპექტივაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება სრულიად დათრგუნონ ადგილობრივი ფირმები ბაზრის დიდი წილის დაკავებით და სრულიად დააკნინონ ამ ფირმების შესაძლებლობები.

სხვა მთავარი კრიტიკული მოსაზრებებიდან გამოსაყოფია: ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე. მოგების რეპატრიაციის (*profit repatriation*) ტენდენციები და ადგილობრივი უკუკავშირების (ადგილობრივი მიმწოდებლების ბაზის) ფორმირების ნელი ტემპი.

2.5. პირველადი ემპირიული დასკვნები

არსებული ლიტერატურა და ემპირიული კვლევები განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე უპი-ს გავლენის ბუნებისა და მოცულობის შესახებ. ქვეყნების განსხვავებული და სპეციფიკური კონტექსტების გათვალისწინებით, ამ დასკვნების მრავალფეროვნებაც შესაბამისად ახსნადი ხდება. ყურადღას იმის, რომ აბსოლუტური უმეტესობა ფუნდამენტური ნაშრომებისა ძირითადად აღიარებს უპი-ს პოზიტიურ გავლენას მიმდები ქვეყნების ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე. ეს კვლევები ძირითად მოწოდებული და ფოკუსირებულია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: „მოქმედებს თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემოსავლების და პროდუქტიულობის დონის ზრდაზე? ავსებს თუ ანაცვლებს ის ადგილობრივ ინვესტიციებს? აქვს თუ არა მიმდებ ეკონომიკაში ადგილი ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადადინებას? რა წინაპირობებია აუცილებელი, რათა ამ პოზიტიურმა ეფექტებმა სათანადოდ იმუშაონ?“.

რისენმა და სოტომ (Reisen & Soto, 2000) თავიანთ ვრცელ ნაშრომში 44 განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე გამოიკვლიეს მოკლე და გრძელვადიანი ინვესტიციების ზემოქმედების ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე 1986-1997 წლების განმავლობაში. ჩამონათვალი ქვეყნებისა შეიცავს მხოლოდ საშუალო და დაბალი შემოსავლების ქვეყნებს გარკვეული მოკლე დროის პერიოდში - როდესაც მნიშვნელოვანი კაპიტალის შემოდინებას ჰქონდა ადგილი. კვლევის შედეგმა ნათლად აჩვენა ძლიერი და პოზიტიური ურთიერთმიმართება ერთის მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლასა და, მეორეს მხრივ, მშპ-ს ზრდას შორის. მსგავსი დასკვნები გააკეთა დე მელლომ (De Mello, 1996) ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე. დისი (Dees, 1998) თავის ნაშრომში ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას ასევე ხსნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი დამსახურებით.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტები ასევე მტკიცდება რიგ სხვა შრომებშიც. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციისთვის (UNCTAD) მომზადებულ შრომაში, გალი და სტრეტენი (Moran, 1998:24) იკვლევენ 88 უცხოურ და ადგილობრივად წარმართულ პროექტს ექვს ქვეყანაში, იყენებენ რა ამისათვის ხარჯისა და სარგებლის ანალიზს ეროვნული შემოსავლის ეფექტების გამოსათვლელად. შესწავლილი პროექტების 2/3-მა დაამტკიცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი მოქმედება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, თუმცა დარჩენილი ერთი მესამედის თანახმად რეზულტატი უარყოფითია. მსგავსი შედეგები მიღებულია უცხოური განვითარების დეპარტამენტისთვის ჩატარებული კვლევით (Moran, 1998). ენკარნიემენმა და ველსმა გამოთვალეს 50 შერჩეული უპი-ს პროექტის წვლილი ეროვნული შემოსავლის მიმართ. მათი კვლევის თანახმად პროექტების უმეტესობა (55-დან 75%-მდე) ხელს უწყობს ეროვნულ შემოსავლის ზრდას, ხოლო დანარჩენს ნაკლებად მოაქვს ასეთი სარგებელი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაგლენის სკურპულოზური ანალიზი მოცემულია ბევრ კვლევაში, რომლებსაც კურირებდნენ ბორენშტეინი და მისი კოლეგები (Borenstein et al, 1998:115-135). 69 ქვეყანაში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, ლათინური ამერიკის და რამდენიმე აფრიკული სახელმწიფო) ჩატარებული ტესტების მონაცემთა გამოყენებით, ავტორები ამტკიცებენ, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია მისცეს დადებითი იმპულსი ეკონომიკის აღმავლობას იმისდა მიხედვით, როგორია ადამიანურ კაპიტალის შესაბამისი დონე (შეფასებული საერთაშორისო ნორმების მიხედვით) და კაპიტალის ათვისების უნარი მიმღებ ქვეყანაში. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ადამიანური კაპიტალის პოტენციალი, მით უფრო მეტია შესაძლებლობა ზრდისა და განვითარებისათვის. უფრო მეტიც, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ ადგილობრივი ფირმების ექსპანსიას, პროდუქტიულობის ზრდის მაპროგოცირებელი მნიშვნელოვანი სპილოვრების და უკუკავშირების დამყარების საშუალებით. ამგვარი შედეგი კი ავტორების მიხედვით, კომპენსირებას უკეთებს შესაძლო პირველად უარყოფით ეფექტებს რაც გამოიხატება ადგილობრივი ფირმების შევიწროებაში. მრავალ ასპექტში ეს კვლევა ეხმაურება და ეთანხმება დე მელლოს კვლევას (De Mello, 1997), რომელიც ასკვნის, რომ წინაპირობები მიმღებ ეკონომიკაში გადამწყვეტია იმისთვის, რომ მოხდეს ახალი კაპიტალის ეფექტურად გამოყენება წარმოების სიმძლავრეების და მოცულობის უფრო მაღალი დონის მისაღწევად. უფრო კონკრეტულად, ამ ავტორის მიხედვით, ინვესტირების პროდუქტიულობის ზრდა მიღწევადია მხოლოდ მაშინ, თუ ეკონომიკას გააჩნია ადამიანურ კაპიტალის დამაკმაყოფილებელი დონე. ამ ცვლადების გათვალისწინებით, კამპოსი და კინოშიტა (Campos & Kinoshita, 2002) თვლიან, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ გარკვეული უპირატესობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, იმის გათვალისწინებით რომ ამ ტიპის ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის ხარისხი უფრო მაღალია იმ მინიმუმზე, რაც საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ეფექტების დადგომისთვის.

ემპირიული ლიტერატურა ძალიან მდიდარია უპი-ს განვრცობით ეფექტებთან (სპილოვრებთან) მიმართებაში. არის ძლიერი მტკიცებულებები რომ მათი როლი გადაუჭარბებლად დიდია, არსებითი და ქმედითი. გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნებისთვის შედეგები ძირითადად დადებითია და ამის მტკიცებულებას წარმოადგენს რაოდენობა იმ კვლევებისა, რომლებიც ადასტურებენ უცხოური კაპიტალის დიდ მნიშვნელობას შრომის ნაყოფიერების ზრდისთვის მიმღები ეკონომიკის სექტორებში. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ კოკოსი (Kokko, 1994) კვლევა, სადაც ამკარად ჩანს ეკონომეტრიკული მტკიცებულება დადებითი სპილოვრებისა და მათი გაგლენის ადგილობრივი პროდუქტიულობის ზრდის ხარისხზე მექსიკაში და ურუგვაიში, სოჰოლმი (Sjoholm, 1999) იგივე დასკვნებს აკეთებს ინდონეზიის მაგალითზე. ხოლო უფრო ადრე, კატცის (Katz, 1969) მიერ ჩატარებულმა უპი-ს გარე ეფექტების სტატისტიკურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ უცხოური კაპიტალის შესვლამ არ-

გენტინის მსუბუქი მრეწველობის სექტორში (1950 წ.) განაპირობა თვალსაჩინო განვითარება იმ ტექნოლოგიებისა, რომელთაც იყენებდნენ ადგილობრივი ფირმები. ამ ანალიზების თანახმად, ტექნიკური პროგრესი ხორციელდებოდა არა მარტო მრავალეროვნული კომპანიების მფლობელობაში არსებულ წარმოებებში, არამედ სხვა სექტორებშიც, ვინაიდან უცხოური შვილობილი კომპანიები აძლევდნენ მძლავრ სტიმულს ადგილობრივ ფირმებს განახლებულიყვნენ, რაც მიღწეულ იქნა ამ უკანასკნელებთან მიმართებაში დადგენილი ხარისხის მინიმალური სტანდარტებით, მოწოდების ვადების და ფასების განსაზღვრით და ა.შ. ტაილანდის შემთხვევაში, არჩანუმი (Archanum, 2003) აღნიშნავს, რომ განვრცობითი ეფექტები უცხოურიდან ადგილობრივ ფირმებში ძალიან დიდი იყო მსუბუქი მრეწველობის დარგში. ისვე ილუსტრირებას აკეთებს, რომ უფრო მძლავრ გარე ეფექტებს ადგილი ჰქონდა ნაკლებად დაცულ დარგებში, ვინაიდან ასეთი დარგები უფრო მიწხიდველია უცხოელი ინვესტორისთვის და ამასთან ნაკლებად დაცული სექტორები გულისხმობს შეჯიბრებითობის სტიმულირებას.

ძლიერი განვრცობითი ეფექტების არსებობა დადასტურებულ იქნა მექსიკაშიც ბლონსტრომის და ვალფის მიერ (Blonstrom & Walff, 1994). მათ შეისწავლეს ამ ეფექტების მოცულობა გამოკითხვით, რომელიც შეიცავდა შემდეგ ძირითად კითხვას: იყო თუ არა უპი-ს სპილოფერები მექსიკის გადამამუშავებელ მრეწველობაში იმდენად დიდი რომ მისი ეფექტები დახმარებოდა ადგილობრივ ფირმებს დაახლოებოდნენ აშშ-ს შრომის ნაყოფიერების დონეს. პასუხი იყო დადებითი, რომ აღნიშნულ ეფექტებს ჰქონდათ არსებითი გავლენა მექსიკის მსუბუქ მრეწველობაზე და ადგილობრივი ფირმების შრომის ნაყოფიერების ზრდის მანქნებელზე.

დასასრულ, გადაჯერებული ბაზრების და "გარიყვის" ეფექტთან დაკავშირებით, არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი (Kosova, 2003; Borenstein et al, 1998; McMillan, 1999) ცხადყოფს, რომ თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაწყებით ეტაპზე იწვევს გარკვეული რაოდენობის ადგილობრივი ფირმების ბაზრიდან გამოდევნას, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უცხოური წარმოების სექტორის ზრდა პოზიტიურად მოქმედებს ზრდის დონეზე და ამაღლებს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობას. მრავალი ქვეყნის მონაცემების გამოყენებით მაკ მილანმა დაადგინა, რომ გაცილებით მეტია პროცენტი ბაზარზე "შეჯგუფებისა" (crowding-in), ვიდრე ბაზრიდან "გარიყვის" (crowding-out). ანალოგიურად, ბორუნშტეინმა და სხვა მკვლევარებმა დაადასტურეს "შეჯგუფების" ეფექტი, ე.ი. ის მოსაზრება რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აესებს და ეფექტურად ემატება ადგილობრივ ინვესტიციებს.

აგოსინის და მაგერის (Agosin & Mager, 2000) კვლევები "გარიყვის ეფექტის" ანუ „გადაჯერებელი ბაზრის“ შესახებ ცოტაოდენ განსხვავებულია. კვლევა განასხვავებს რეგიონებს სადაც "გარიყვის" ეფექტი იყო უფრო დომინანტური იმ რეგიონებისგან, სადაც ბაზრის გაჯერება, "შეჯგუფება" იყო ობიექტური რეალობა. ჩატარებული ეკონომეტრიული კვლევები ცხადყოფს, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე (1970-1996) CI „გაჯერებული ბაზრები“ იყო მოცემულობა აზიაში, ხოლო CO „გადაჯერებული ბაზრები“ უფრო დამახასიათებელი იყო და

დომინირებდა ლათინურ ამერიკაში. აფრიკაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა გაზარდა მთლიანი ინვესტიციები ერთი ერთზე. ავტორები ასეთ ცვალებადობას მიაკუთვნებენ ორ მთავარ მიზეზს: პირველი, რომ მთლიანი ინვესტიციები გაცილებით მცირე იყო ლათინურ ამერიკაში ვიდრე აზიაში; მეორე, ისინი ვარაუდობენ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები ნაკლებად მომთხოვნი და შერჩევითი იყვნენ უპი-ს მიმართ, ვიდრე აზიის ქვეყნები, რაც გამოიხატებოდა როგორც უცხოური ფირმების წინაწარ შერჩევა-შემოწმებაში, ასევე უფრო მაღალი რეპუტაციის, პრიორიტეტული პროფილის და უპირატესი შესაძლებლობების მქონე უცხოური ფირმების მოზიდვის ძალისხმევაში.

თავი 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტის მაქსიმიზაცია

3.1. მიზნის კონსტრუირება

ლიტერატურის და წინასწარი ემპირიული მტკიცებულებების მიმოხილვამ წინა თავებში წარმოაჩინა შემდეგი მთავარი დასკვნები:

- 1) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს უმეტეს შემთხვევაში აშკარად აქვს არსებითი და პოზიტიური გავლენა ზრდასა და განვითარებაზე.
- 2) უმეტესწილად ეს განპირობებულია მისი თანმდევი დადებითი განვრცობითი ეფექტებით (spillovers) და ვეზოგენური ფაქტორებით (externalities).
- 3) ამ გავლენის ხარისხი და სიდიდე (მოცულობა) შეიძლება იყოს დამოკიდებული ქვეყნის სპეციფიკაზე, სხვადასხვა განმსაზღვრელ ფაქტორსა და ცვლადზე, ისეთებზე, როგორცაა ადამიანური კაპიტალის დონე და ქვეყნის ამთვისებელი პოტენციალი (absorptive capacity).

აკლვეის შემდეგი ნაწილის მიზანია აჩვენოს, რომ არა მხოლოდ მიმღები ქვეყნის განვითარების დონეა გადამწყვეტი ფაქტორი, არამედ ასევე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკის არსი და მიმღები ქვეყნის მთავრობის სათანადო პროგრამა და დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტის განვრცობის არეალსა და ბუნებას. ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ უპი-ის სარგებელი და ამ სარგებლის მასშტაბი მიმღები ქვეყნისათვის დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც ხდება ინვესტიციის განხორციელება. ეს განსაკუთრებით შეეხება მიმღები ქვეყნის განსაზღვრულ პოლიტიკას და შესაბამის გარემოს.

კითხვები, რომლებზედაც უნდა გაიცეს პასუხი, შემდეგია:

- რომელი ფაქტორებია უმნიშვნელოვანესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სარგებლის განსაზღვრა-განვრცობისთვის?

- რა პოლიტიკა უნდა გაატაროს მთავრობამ რათა მაქსიმალურად გაზარდოს

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტები და სარგებელი?

- რა შემთხვევაში. რა მოცულობით და რა ფორმალთ შეუძლია მიმღები ქვეყნის მთავრობას ჩაერიოს შესაძლო ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?

- რაში მდგომარეობს კარგად ფორმულირებული სამთავრობო პოლიტიკის უპირატესობა და საზღაური?

იმისათვის რომ ვცადოთ ამ კითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემას, ჩვენ ავირჩიეთ შემდგომი ანალიზის წარმოება - უპი-ს განვრცობით ეფექტებსა (სპილოვერები) და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული ურთიერთკავშირის ფორმატში. ამას ვაკეთებთ ორი მიზეზის გამო: 1) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპილოვერები მიჩნეულია მიმღები ეკონომიკის ტექნიკური პროგრესის და პროდუქტულობის ზრდის მთავარ ფაქტორად, 2) ჩვენი ვარაუდით, ამ ურთიერთ-დამოკიდებულებას უკეთ შეუძლია ასახოს კორელაცია უპი-ს სარგებლიანობასა და ადეკვატურ სამთავრობო პოლიტიკას შორის. ზემოთ გაშუქებული ემპირიული მასალაც გვაწვდის ძლიერ მტკიცებულებებს პოზიტიურ სპილოვერებზე და შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მათი სასარგებლო გავლენის შესახებ.

შემოთავაზებული ფორმატი თანხვედრია ენდოგენური ზრდის მოდელისა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს განვრცობით და გარე ეფექტებს ეკონომიკური ზრდის დონის განსაზღვრაში.

3.2. დადებითი სპილოვერების გამოძწვევი ფაქტორები და შესაბამისი სამთავრობო სტრატეგიები

აქამდე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მომხიბვლელობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად ითვლებოდა მიმღები ქვეყნის უცხოური ტექნოლოგიების ათვისების პოტენციალი, რომელიც იზომებოდა ორი მთავარი ცვლადით: არსებული ადამიანური კაპიტალის დონე და ტექნოლოგიური განსხვავება უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის. აქედან პირველი საფუძვლიანად მიმოვიხილეთ წინა თავებში.

თუმცა, უფრო თანამედროვე კვლევები გვთავაზობენ სხვა, უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს/განმსაზღვრელს განვრცობით ეფექტების სიდიდისა. ერთ-ერთ ყველაზე უფრო კომპეტენტურ კვლევაში, მორანი (Moran, 1998) წარმოაჩენს, რომ განვრცობით ეფექტების სიდიდის უმთავრესი დეტერმინანტი არის მიმღები ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი. ამ ჰიპოთეზის თანახმად უფრო ლიბერალური საინვესტიციო კლიმატი იწვევს უფრო ძლიერ განვრცობით ეფექტებს მიმღებ ეკონომიკაში, იმდენად რამდენადაც, იგი ხელს უწყობს უფრო დინამიური უპი-ს მოზიდვას, რომელსაც ექნება მთელი რიგი მიშინდველი თვისებები, როგორიცაა: მათთვის დამახასიათებელი სიდიდე, "მასშტაბის ეკონომიკა", მოწინავე ტექნოლოგიების, ცოდნის და მენეჯმენტური პრაქტიკის ტრანსფერი. მეორეს მხრივ, შეზღუდველი საინვესტიციო კლიმატი ხასიათდება სხვადასხვა შემზღუდველი

პირობებით (მანდატებით), რომელსაც აქვს მიდრეკილება მოიზიდონ იმ ტიპის უპი, რომელიც პოტენციურად ნაკლებად პროდუქტიულია, - გამოირჩევა მოძველებული ტექნოლოგიებითა და ახალი მენეჯმენტური სისტემებისა თუ სხვა ცოდნაზე დაფუძნებული კაპიტალის ათვისების მწირი გამოცდილებით.

უფრო მეტიც, ეს ჰიპოტეზა გვთავაზობს, რომ მიმღები ქვეყნის ლიბერალური საინვესტიციო კლიმატი ხასიათდება ტენდენციით წახალისოს ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციების გაფართოება, რომელიც ორგანულად იქნებოდა ინტეგრირებული მრავალეროვნული საწარმოების გლობალურ (რეგიონალურ) მომმარაგებელ და საწარმოო ქსელში, - იმ მიზნით რომ გაიზარდოს სათავო ფირმების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე. ასეთი განვითარების შედეგები ატარებენ მაღალ ღირებულებას და აქვთ პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მიმღები ეკონომიკების გაზრდილ სარგებელთან. ლოგიკა მარტივია: საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის პერსპექტივა შექმნის სათავო ფირმებში ინტერესს, აღჭურვილ შვილობილი ფირმები უახლესი ტექნოლოგიებით და მათი გამოყენების მეთოდებით და ასევე, აწარმოონ მუდმივი კონტროლი ადამიანურ და მართვის რესურსებზე. მეტიც, ჩაყვრება რა საფუძველი ექსპორტზე ორიენტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ისინი სტიმულს მისცემენ სხვა უცხოელ ინვესტორებს (ადგილობრივი კონკურენტების ჩათვლით) და მრავალეროვნულ საწარმოებს შემოვიდნენ ადგილობრივ ბაზარზე, შემოიტანონ მეტი კაპიტალი და მოწინავე საწარმოო საშუალებანი.

აქედან გამომდინარე, ამგვარ კომბინირებას დროულად შემოიტანილი უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური იდეების, კონკურენტული გლობალური ბაზრების ხელმისაწვდომობის, და უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის შეჯგუფების (clustering), - მოსალოდნელია მოჰყვეს მძლავრი განვრცობითი და გარე ეფექტების გენერირება ადგილობრივ მიმწოდებლებთან მჭიდრო უკუკავშირის მეშვეობით.

3.3. უფრო ლიბერალურ საინვესტიციო გარემოსკენ – შემზლუდავი ბერეკტების უარყოფა

მოცემულ და მომდევნო თავებში ვეცდებით უფრო დეტალურად აგხსნათ რა პოლიტიკა უნდა გატარდეს მიმღები ქვეყნების მიერ, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს უპი-ს განვრცობითი ეფექტების სარგებლიანობა. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული მოითხოვს იმ ფაქტორების ინდენტიფიკაციას, რომლებიც მიჩნეულია რომ აბრკოლებენ ლიბერალური კლიმატის დამყარებას და, შესაბამისად მიმღები ქვეყნების მიერ სარგებლის გაზრდის შესაძლებლობას. შემდგომში, ჩვენ გამოვიკვლევთ, მიმღები ქვეყნის მთავრობის რომელი ინტერვენციული სტრატეგიებია უფრო გამართლებული და ემსახურება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მოსალოდნელი სარგებლის გაფართოებას.

როგორც უკვე აღნიშნეთ, შემზლულ საინვესტიციო რეჟიმს აქვს ტენ-

დენცია მოიზიდოს ნაკლებად ეფექტური უცხოური ინვესტიციები; ეს იწვევს მნიშვნელოვან შეფერხებებს ტექნოლოგიების და სხვა უახლესი აქტივების ტრანსფერში და აიძულებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს იყოს არაკონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზრების ათვისების კონტექსტში. შემზღვეული საინვესტიციო კლიმატი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის უმეტეს ქვეყნებში ხასიათდება შემდეგი შემზღველავი მანდატებით (ვალდებულებებით):

1. ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა.
2. ტექნოლოგიის ლიცენზირების (დაპატენტების) მოთხოვნა.
3. ერთობლივი საწარმოების შექმნის მოთხოვნა.

შესაბამისად, განსაკუთრებულ ინტერესის საგანია თუ რა შედეგები და იმპლიკაციები შეიძლება ჰქონდეს ასეთი ტიპის სამთავრობო ინტერვენციას, და კერძოდ, როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია შესაბამის სამთავრობო პოლიტიკას უპი-ს განვრცობითი ეფექტების მასშტაბებზე.

3.3.1. ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა

პირველ რიგში, განვიხილოთ ე.წ. ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნის (ვალდებულების) შემზღველავი მანდატის არსი. ასეთი სახის მოთხოვნას ხშირად უყენებენ მიმღები მთავრობები უცხოელ ინვესტორებს; ნომინალურად, ერთის შეხედვით ეს ემსახურება რაციონალურ ინტერესს, რომელიც მდგომარეობს ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობის ზრდაში, - უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივი მიმწოდებლებს შორის უკუკავშირების გაძლიერებაში და „ინდუსტრიულ წინსვლაში“, რისი საბოლოო მიზანიც არის უფრო კონკურენტუნარიანი, კომპაქტური და პროდუქტიული შიდა საწარმოო ბაზის ფორმირება (Moran, 1991, 41). თუმცა, უმეტესობამ ბოლოდროინდელი ავტორიტეტული კვლევებისა აჩვენა, რომ ეს დებულებები მცდარია იმდენად რამდენადაც პრაქტიკაში ნაკლებად ემსახურება აღნიშნული მიზნის მიღწევას. (Klein, 1995; Moran, 1998; 2002). ამ კვლევების მიხედვით, ზემოჩამოთვლილი არგუმენტები და შესაბამისი მოთხოვნების ინიციატორები ჯერონად ვერ აფასებენ ღია ბაზრის და ლიბერალური გარემოს სარგებლიანობას და უგულვებელყოფენ ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ ბუნებას. უფრო მეტიც, კომპეტენტურმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ ადგილობრივი შემცველების იმპერატიული და შემზღველავი მოთხოვნა ნეგატიურად მოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ეს დასკვნა დაფუძნებულია შემდეგი ეკონომიკური ხასიათის მონაცემებზე:

1) ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა (ვალდებულება) უქმნის ტექნიკურ, ეკონომიკურ, მართვის და პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებს როგორც უცხოელ ინვესტორს, ისე მიმღებ ქვეყანას (Moran, 1998, 43).

2) ყველა ეს პრობლემა ერთობლიობაში იწვევს სტატიურობას და არაპროდუქტიულობას იმ დარგებში სადაც მიმღები ქვეყანა აწესებს ადგილობრივი შემცველების შემზღველავ ვალდებულებას.

3) ამ პირობებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ ახერხებენ "მასშტაბის ეფექტის" (ეკონომია განპირობებული წარმოების მასშტაბის ზრდით) უპირატესობების გამოყენებას. მათ უჭირთ გახდნენ საერთაშორისო ნიშნით კონკურენტურუნარიანები იმის გამო, რომ აქვთ ვალდებულება უფრო იაფი იმპორტის ნაცვლად გამოიყენონ უფრო ძვირი ადგილობრივად წარმოებული საქონელი.

4) არიან რა ამგვარად ნაკლებად პროდუქტიულები, ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებულები და არ იმყოფებიან რა მრავალეროვნული (ტრანსნაციონალური) საწარმოების გლობალური წარმოების არეალში – ამ ტიპის უცხოური ინვესტიციები ზასიათდებიან იმით რომ არიან ნაკლებად დინამიური და იქცევენ სათავო კომპანიების ნაკლებ ყურადღებას.

5) კარგავენ რა ამგვარი ვალდებულებებით შეზღუდული უცხოური ინვესტიციები შესაძლებლობას გახდნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე, სათავო კომპანიები ზდებიან ნაკლებად მოტივირებული უზრუნველყონ მათი ფილიალებისათვის საუკეთესო ტექნოლოგიების და განვითარების რესურსების ტრანსფერი მიმღებ ქვეყნებში ან აგზავნიან მათ შეფერხებით და უფრო ნელი ტემპებით (Moran, 1998)

შესაბამისად, "მასშტაბის ეფექტით" მიღწევადი ეკონომიის გამოყენებლობით, უახლესი ტექნოლოგიების და მენეჯმენტის საუკეთესო გამოცდლების დროული ტრანსფერების გარეშე, უპი-ს განვრცობითი ეფექტების პოზიტიური გავლენა საგრძნობლად მცირდება.

ეს დასკვნები ემყარება სხვადასხვა ემპირიულ კვლევას, მათ შორის არის სპეციალური კვლევა ჩატარებული გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ცენტრის ეგდით (1991). ასევე კომპლექსურ კვლევებს რომელთაც ხელმძღვანელობდნენ შაპირო (Shapiro, 1993) და კლეინი (Klein, 1995).

ამდაგვარად, ტრადიციული არგუმენტაცია, თითქოს ადგილობრივად წარმოებული შემცველების ვალდებულება მეტ სტიმულირებას უკეთებდეს მოწოდების ადგილობრივ ქსელებს, სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას ჰპოვებს უკანასკნელ წლებში. ამის ნაცვლად, 1990-იან წლებში დაგროვებულმა მონაცემებმა აჩვენეს, რომ ასეთ პირობებში მოსალოდნელია სრულიად საპირისპირო შედეგის დადგომა (Moran, 1998). უცხოური ინვესტორებისათვის იმ თავისუფლების შეზღუდვამ, რომ თავად აირჩიონ მათთვის ხელსაყრელი მოწოდების წყაროები, ნაკლებად სავარაუდოა ხელს შეუწყო წარმოების მასშტაბის ზრდის ხარჯზე მიღწევადი ეკონომიის და ადგილობრივი მიმწოდებლების ინტეგრირებას გლობალურ სამომმარაგებლო ქსელში. გარდა ამისა, მორანი გვიჩვენებს, რომ შემზღვევლი მანდატის პირობებში, ადგილობრივ მიმწოდებლებთან უკუკავშირები სუსტდება და ტრეინინგების, დანმარების, ტექნოლოგიური აღჭურვის და საბაზრო ექსტერნალიების მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ეს სხვა პირობებში იყო მოსალოდნელი.

ამ არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა (ვალდებულება) არათუ არ მატებს რაიმე ღირებულს განვითარების სტრატეგიას, არამედ იწვევს უარყოფით შედეგებს.

3.3.2. ტექნოლოგიის ლიცენზირების (დაპატენტების) მოთხოვნები

შეზღუდული საინვესტიო გარემოს მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ტექნოლოგიების ლიცენზირების მოთხოვნა. ის წარმოადგენს ტექნოლოგიების -მოწილეობის ფორმას მიმღები ქვეყნისთვის მათ მიერ უცხოური ფირმების საკუთრების სტრუქტურაზე კონტროლის მოსაპოვებლად. როგორც ჩანს, ამ შემზღუდველი პირობის დასაბუთებლად მიიჩნევა ის ინტერესი რომ ხელი შეეწყოს ადგილობრივი ბიზნეს წრეების დონის ამაღლებას და საწარმოო თვითკმარობის ზრდას. თუმცა, როგორც ამას ხაზს უსვამს მრავალი ექსპერტი (Moran, 1998, Ernst, 1994) მიმღები ქვეყნის ამ ძალისხმევას აქვს მიდრეკილება გამოიწვიოს შემდეგი შედეგები:

1) *ზოგიერთ შემთხვევაში, ტექნოლოგიების ლიცენზირების (დაპატენტების) ვალდებულების დაკისრებას თან ახლავს უბი-ს განდევნა შესაბამისი პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნიებიდან (მაგ: სამხრეთ კორეა, იაპონია).*

2) *ამ შემზღუდველი მანდატის პირობებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სუსტად არიან ინტეგრირებული მრავალეროვან საწარმოთა საერთაშორისო მიწოდებისა და წარმოების ქსელში (Moran, 1998).*

3) *ამ ვალდებულების დაკისრება უარყოფითადაა ასოცირებული შესაბამისი ტექნოლოგიების ხარისხთან და მათი ტრანსფერის ტემპთან. მრავალეროვანი საწარმოები იძულებულნი ხდებიან შემოიტანონ უფრო მოძველებული ტექნოლოგიები და უფრო გაჭიმულ დროში. მენსფილდმა და რომერომ (Mansfield & Romero, 1980) 31 ფირმის და 65 ტექნოლოგიის კვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ სათაო ფირმები ავზუნდნენ ტექნოლოგიებს ლიცენზირებისთვის გაცილებით უფრო ნელი ტემპით, ვიდრე თავიანთ შეილობილი ფირმებისთვის.*

თავის მხრივ, კონტრარგუმენტი ამ ტიპის მოთხოვნის სასარგებლოდ შთაგონებულია იმ მაგალითით, რასაც უწოდებენ სამხრეთ კორეის განვითარების მოდელს. აღნიშნულ მოდელს, სხვა თვისებებთან ერთად (იმპორტზე შეზღუდვები ექსპორტის ძლიერი წახალისებით, ფისკალური სუბსიდიები წამყვანი ეროვნული ფირმებისთვის და ა.შ.), ახასიათებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ მნიშვნელოვანი შეზღუდვები - მკაცრი ლიცენზირების მოთხოვნის პოლიტიკა და სხვა ტექნოლოგიების მქონეობის ფორმები და დონის მიხედვით, რომელიც უტოვებს სახელმწიფოს ფირმების კონტროლის საშუალებას (Amsden, 1990).

კორეის მოდელის შეფასება ცალსახად მოითხოვს უფრო ფართო ანალიზს, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს მაინც უნდა გაესვას ხაზი. პირველი, რაც აუცილებლად აღსანიშნავია, არის ის, რომ სამხრეთ კორეის ეკონომიკის წარმატება არ იყო დაფუძნებული მხოლოდ მის ინდუსტრიულ თვითმყოფადობაზე, არამედ ის უმეტესწილად იყო განპირობებული უცხოური (აშშ) კომპანიების მასიური ჩართულობით საწყის პერიოდში. ამ უკანასკნელმა ფაქტორმა, მორანის (1990:131) მიხედვით, გადამწყვეტი როლი ითამაშა კორეისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ელექტრონული ინდუსტრიის განვითარებაში. ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს იყო ოთხი ამერიკული კომპანია – Motorola, Signetics, Fairchild Semiconductor და Komy Semiconductor – რომლებიც წარმართავდნენ

სამხრეთ კორეის იაფი ინდუსტრიის შექმნას დაფუძნებიდან 1970 წლების ბოლომდე. იაფი საქონლისთვის საქესპორტო დერეფნების თანდათანობითი გახსნაც ამერიკული ფირმების აქტიულობის შედეგი გახლდათ. უფრო მეტიც, (Ernst, 1994), აშშ-ს კომპანიებმა აზიარუს კორეელი მენეჯერები და მუშები ინოვაციურ და მოწინავე საორგანიზაციო ტექნოლოგიებს, რაც იყო უმთავრესი ფაქტორი ადგილობრივი ბიზნესის არაფექტიური პრაქტიკის დაძლევაში და მათი შრომის ნაყოფიერების, პროდუქტიულობის გაზრდაში.

ამ მიზეზების გამო და 1997-98 წწ. აზიური ფინანსური კრიზისის ფონზე, სათანადო დასკვნები გამოიტანეს ავტორიტეტულმა ექსპერტებმა (Ernst, 1994, 118; Moran, 1998, 130), რომელთა მიხედვით, - ისეთი წარმტებული ეკონომიკაც კი, როგორცაა სამხრეთ კორეის ეკონომიკა, იძულებულია უარი თქვას რესტრიქციულ საინვესტიციო მოდელზე, რათა დაძლიოს კრიზისით გამოწვეული მდგომარეობა და დაუბრუნდეს კრიზისამდე არსებულ კონდიციებს. ეს კი ნიშნავს ინვესტიციების შემზღვეველი მანდატის უარყოფას და ქვეყნის შიგნით უცხოური ინვესტიციების - როგორც ტექნოლოგიური დიფუზიის ოპტიმალური მექანიზმის როლის მნიშვნელოვან ზრდას.

3.3.3. ერთობლივ საწარმოთა შექმნის მოთხოვნა

შესაძლებელია, ყველაზე უფრო საკამათო და წინააღმდეგობრივი საკითხი ინვესტიციების განხორციელების შესაძლო პირობებს შორის არის ერთობლივი საწარმოების შექმნის მოთხოვნა. მრავალი სახის ოპერაციებისთვის, ერთობლივი საწარმოს სქემა პირდება სარგებელს ყველა მონაწილე მხარეს; მიმღები ქვეყნების მთავრობები იმედოვნებენ მიაღწიონ უფრო ძლიერ უკუკავშირებს ადგილობრივი ეკონომიკისთვის, - ჩამოაყალიბონ ადგილობრივი ბიზნეს კლასი და ხელი შეუწყონ თვითემარობის ზრდას. მეორეს მხრივ, ადგილობრივი პარტნიორები შეიძლება უცხოელი ინვესტორებისათვის სასარგებლო პარტნიორები აღმოჩნდნენ და მიაწოდონ მათ ადგილმდებარეობის შესაბამისი სპეციფიური ცოდნა/ინფორმაცია - ადგილობრივი ბაზრების, ადგილობრივი გემოვნების, ადგილობრივი მუშახელის და ბიზნეს გამოცდილების, ადგილობრივი მიმწოდებლების, ასევე მთავრობის და ბიზნესის ურთიერთობის შესახებ. ისინი აგრეთვე სასაგებლონი შეიძლება იყვნენ მიმღები ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკური კონტექსტის და კულტურის შესახებ ზოგადი ცოდნის უცხოელი ინვესტორებისათვის გაზიარებაში. პრინციპში, როდესაც ეს საჭიროებანი ღებება დღის წესრიგში და დომინირებენ, მიმღებ მთავრობებს აღარ სჭირდებათ არანაირი განაკუთრებული ძალისხმევა და პირობების კარნახი, ვინაიდან საკუთრივ მოთხოვნა (საჭიროება) როგორც ასეთი, თავად უზრუნველყოფს ამ ტიპის ინტერესის დაკმაყოფილებას და პარტნიორობას ძალდაუტანებლად, ზედმეტი ჩარევის გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი საჭიროებები ყოველთვის როდია პრევალირებადი, რადგან უცხოელი ინვესტორები როგორც წესი მხედველობაში იღებენ მთელ რიგ სხვა ფაქტორებსაც, ისეთების, როგორიცაა: პრინციპალსა და აგენტს შორის კონფლიქტები, კონტროლის შემცირება, სტრატეგიული რისკები, გარიგების

ხარჯები ერთობლივი საწარმოს წევრობისთვის და ა.შ.

შესაბამისად, წამყვანი ინვესტორების უმეტესობა ამჯობინებს არ მიიღოს მონაწილეობა ასეთ ერთობლოვ სქემებში და შეთანხმებებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საერთაშორისო მომარაგება, ხარისხის კონტროლი და სწრაფი ტექნოლოგიური ძვრები არის მათი ოპერაციების არსებითად შემადგენელი ნაწილები. ასეთ შემთხვევაში, მიმღები ქვეყნების მთავრობები ხშირად მიმართავენ უფრო პროაქტიულ ქმედებებს და აწესებენ ნორმატიულ (საკანონმდებლო) მოთხოვნებს. მთავარი საკითხად ასეთ შემთხვევაში, გვევლინება ის - თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს მიმღებ ეკონომიკას ამ ტიპის სამთავრობო ინტერვენციამ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მორანმა (1998) გამოიკვლია ურთიერთმიმართება ერთის მხრივ, ერთობლივი საწარმოს შექმნის მოთხოვნასა და მეორეს მხრივ, ტექნოლოგიურ ტრანსფერს, ექსპორტის წარმოებასა და საწარმოო უკუკავშირებს შორის. მისი ნაშრომის თანახმად, ერთობლივ საწარმოებს შეუძლიათ წახალისონ და მიიღონ მეტი მომარაგება და რესურსები ადგილობრივი ფირმიებიდან (მიმწოდებლებიდან), მაგრამ მთლიან მფლობელობაში მყოფი უცხოური კომპანიების ფილიალები (შვილობილი კომპანიები) განაპირობებენ და წარმოშობენ მეტ ტექნოლოგიურ, მენეჯერულ და ექსპორტ-მარკეტინგის განვრცობით ეფექტებს ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის. ამ ფაქტს მორანი უმეტესწილად ხსნის იმ მოცემულობით რომ შვილობილ კომპანიებს (ფილიალებს) აქვთ უფრო მჭიდრო ურთიერთობები სათავო კომპანიასთან. გარდა ამისა, რიგი სხვა ავტორიტეტული კვლევებისა (Grieco, 1984, Manfield, Romero, 1980; Reuber, 1973) ცხადყოფს, რომ ერთობლივი საწარმოს შექმნის სავალდებულობა ნეგატიურად მოქმედებს ტექნოლოგიური ტრანსფერების სიჩქარესა და რაოდენობაზე.

ინდოეთში წარმოების ერთი დარგის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, გრიკომ (Grieco, 1984) დაადგინა, რომ ამ ქვეყნის გადაწყვეტილებას ერთობლივი საწარმოს შექმნის იმპერატიულ მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, თან მოჰყვა ტექნოლოგიური ტრანსფერის არსებითი ზრდა; მეტიც, აღმოჩნდა, რომ ტექნოლოგიების შესაძენი ფასი გაიზარდა როგორც კი საგრძნობი გახდა ძვრები უფრო ლიბერალური საინვესტიციო პრაქტიკისკენ. რეუბერის სხვა კვლევაში (1973) ავტორი ადარებს უცხოელი ინვესტორის მიერ საწარმოო რესურსების და ტექნოლოგიების ინექციის რაოდენობას მთლიან მფლობელობაში მყოფ საწარმოში და ერთობლივ საწარმოში, რისი საშუალებითაც თვალსაჩინო ხდება რომ ტექნოლოგიების ტრანსფერი პირველში მნიშვნელოვნად აღემატება და უსწრებს ტექნოლოგიების და სხვა წარმოების საშუალებების ტრანსფერს ერთობლივ საწარმოში.

მანდატორული ერთობლივი საწარმოების ეფექტების შემდგომი კვლევა ცხადყოფს, რომ „ის არ ზრდის საერთაშორისო ბაზრებში შეღწევის პერსპექტივებს“ (Moran, 1998, 123), პირიქით, ის ასუსტებს კიდევ ექსპორტის ტენდენციებს. შესაბამისად, ერთის მხრივ, ამ შემზღუდველი მანდატის პირობებში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ ნაკლები პოტენციალი იყვნენ ინტეგრირებული მრავალეროვანი საწარმოების საერთაშორისო მომარაგების

და წარმოების ქსელებში; ამას განაპირობებს ხარისხის კონტროლთან, მათი კუთვნილი უახლოესი ტექნოლოგიების შესაძლო გაბნევა და მითვისებასთან, სატრანსფერო ფასების შესაძლო შეუთანხმებლობასთან დაკავშირებული სკეპტიციზმი, ისევე როგორც ბაზრის შესაძლო აუთვისებლობასთან და საერთაშორისო წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებული შიში (Encarnation, 1992). ამის საპირწონედ კი, მეორეს მხრივ, როცა მთლიან მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიები აწარმოებენ საექსპორტო ოპერაციებს, ისინი იქცევიან ერთგვარ კატალიზატორებად და ასტიმულირებენ ადგილობრივი ფირმების მიერ ექსპორტზე ორიენტირებას. მორანის (1998) მიერ ჩატარებული დარგობრივი კვლევები ადასტურებენ, რომ მთლიან მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიები მნიშვნელოვნად ეხმარებიან ადგილობრივ მიმწოდებელ ფირმებს შეაღწიონ საგარეო ბაზრებზე, პირდაპირი თუ ირიბი ფორმით. ასე მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ლათინური ამერიკის საავტომობილო და ელექტრონიკის მწარმოებელ სექტორებში, სადაც უცხოელი ინვესტორები უზრუნველყოფდნენ ადგილობრივ მიმწოდებელ ფირმებს საინფორმაციო, გადამზადება-გაწვრთნასთან დაკავშირებული და ქსელური კონტაქტებით, რაც ხელს უწყობდა ამ უკანასკნელებს გამხდარიყვნენ ექსპორტიორები. ეს დაკვირვება გაზიარებული და მხარდაჭერილი იქნა სხვა მკვლევარების მიერ, რომელთაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია რიის და ბელოტის (Rhee & Belot, 1989) მიერ ჩატარებული კვლევა, ვინაიდან ის შეიცავს 11 კომპლექსურად შესწავლილი მაგალითის ანალიზს.

მთლიან საკუთრებაში მყოფი საწარმოების უპირატესობის დამადასტურებელი სხვა მნიშვნელოვანი არგუმენტები მოცემულია ატკენის და ჰარისონის (1997) ნაშრომში, რომელმაც დაადგინა პოზიტიური კორელაცია საკუთრების ხარისხს (ფორმას) და პროდუქტიულობას (შრომისუნარიანობას) შორის. დაამუშავეს რა ვენესუელის მაგალითზე 4000 ფირმის მონაცემები 13 წლის განმავლობაში, მათ გამოავლინეს, რომ გამოძულებული პროდუქციის 1.35%-იანი ზრდა დაკავშირებული იყო უცხოელი მესაკუთრეების 10%-იანი ზრდასთან. სამუალოდ, უცხოელი მესაკუთრების მთლიან საკუთრებაში მყოფი საწარმოების წარმოებული პროდუქციის მაჩვენებელი 14%-ით აღემატებოდა ადგილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების შესაბამის მაჩვენებელს. წარმოებული პროდუქციის ზრდა ამ ნაშრომში ასახავდა სუფთა შრომის ნაყოფიერების ზრდას იმდენად რამდენადაც მკვლევარები აკონტროლებდნენ სხვაობებს წარმოების სამუალებებში.

დასასრულ, მორანი (1998) იძლევა დამაჯერებელ მტკიცებულებას case study-ზე დაყრდნობით, რომ მთლიან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიები (ფილიალები) ხელს უწყობენ ადგილობრივი მიმწოდებლების დინამიურ უკუინტეგრირებას იგივე ან სხვა წარმოების დარგებში. მექსიკის საავტომობილო ინდუსტრიაზე მისი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მას შემდეგ რაც უცხოური ფირმებმა გადაწყვიტეს მომარაგებელიყვნენ მოცემული ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციით, ამან ხუთი წლის განმავლობაში გამოიწვია სათადარიგო ნაწილების, შემცველებისა და აქსესუარების მწარმოებელი დაახლოებით 300 ადგილობრივი ფირმის ბაზარზე დამკვიდრება; მათგან ასზე მეტი იყო მექსიკური

ფირმა, რომლებიც წელიწადში ყიდდნენ 1 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების ნაწარმს. მაღაიზიის ელექტრონული და კომპიუტერული სექტორის პარალელურმა შესწავლამ ასევე აჩვენა, რომ ადგილობრივმა მიმწოდებლებმა, რომლებიც ამარაგებდნენ ნახევარგამტარების მწარმოებელ უცხოელ ინვესტორს, შეძლეს გადასვლა პრიმიტიული მექანიკური გადამუშავებიდან მაღალი სიზუსტის ქარხნულად-ავტომატიზირებული დანადგარების გამოშვებაზე. ლიმი და ფონგი (1991) ასევე ასახულებენ დინამიური უკუკავშირების გაფართოებას უცხოურ კომპანიების მთლიან მფლობელობაში მყოფ ფილიალებსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის მაღაიზიის, ტაილანდის და სინგაპურის ელექტრონულ ინდუსტრიაში.

ზემოთ მოცემულ მტკიცებულებების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, - რაც უფრო ნაკლებადაა შეზღუდული მთლიან მფლობელობაში მყოფი ფილიალები მიმღებ ქვეყანაში, მით უფრო დიდია განვრცობითი და გარე ეფექტების პოზიტიური გავლენა (მოცვალობა) ადგილობრივ ფირმებზე. შესაბამისად, რაც უფრო დიდია შეზღუდვები და ზეწოლა უცხოელ ინვესტორებზე, მით უფრო მცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მისაღები სარგებელი.

3.4. განვრცობითი ეფექტების გაფართოება ექსპორტის წახალისებით – მათრახის და თავლაკვერას პოლიტიკა

წინა თავებში უკვე ვისაუბრეთ, თუ რა ტიპის სამთავრობო ინტერვენცია უქმნის სირთულეებს ლიბერალური საინვესტიციო გარემოს დამკვიდრებას, რაც შედეგად უარყოფითად აისახება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვრცობითი ეფექტების ბუნებასა და მოქმედების არეალზე. ამ თავში, ჩვენ შევეჩვებით სამთავრობო ინტერვენციის იმ სახეებს, რომელთაც როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, აქვთ დადებითი გავლენა სპილოვერების განვრცობის მასშტაბებზე იმდენად რამდენადაც ის არ უქმნის პრობლემებს ლიბერალურ საინვესტიციო გარემოს (ან უარეს შემთხვევაში, მინიმუმამდე დაჰყავს ამგვარი შესაძლებლობა). ასეთი ტიპის ინტერვენციად ლიტერატურაში სახელდება *ექსპორტზე ორიენტირების (ექსპორტის განხორციელების) მოთხოვნა* (Moran, 1998, 2002). მართალია ლიბერალური საინვესტიციო გარემო თავისთავად უწყობს ხელს ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციების წახალისებას, მაგრამ მიმღები ქვეყნების მთავრობებს სურთ ქვემოთ აღწერილი მიზეზების გამო, იყონ დარწმუნებული ამ პროცესის დინამიურობასა და შეუქცევად ხასიათში. რატომ არის ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციები ასეთი მნიშვნელოვანი და სასარგებლო? რატომ უნდა გაამართლოთ სამთავრობო ინტერვენცია ამ შემთხვევაში?

უამრავი სპეციალური კვლევით (Balasubramanyam et al, 1996, 1999; Bhagwati, 1973) მტკიცდება რომ ექსპორტის წახალისებელი (EP) ქვეყნები გაცილებით მეტ სარგებელს იღებენ უპი-დან. ერთ-ერთ ამ ავტორიტეტულ კვლევაში

(Balasubramanyam et al ;1996) ავტორები ცდილობენ გამოცადონ ზემოაღნიშნული ჰიპოთეზა საწარმოო ფუნქციის გამოყენებით, რომელშიც უპი განიხილება როგორც წარმოების დამატებითი ფაქტორი ადგილობრივი კაპიტალისა და სამუშაო ძალის გარდა. ისინი ამტკიცებენ, რომ ვინაიდან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უპი წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის და უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების მთავარ წყაროს, იგი როგორც ცვლადი თავის თავში მოიცავს გარე ეფექტებს (ექსტერნალიები), სწავლას დაკვირვების საშუალებით და განვრცობით ეფექტებს (სპილოვერები). მთელი რიგი ემპირიული კვლევების (რომლებიც სწავლობენ ექსპორტით განპირობებულ ეკონომიკური ზრდის ჰიპოთეზას) შედეგების საფუძველზე, ექსპორტი ასევე გამოიყენება, როგორც საწარმოო ფუნქციის დამატებითი ფაქტორი. ბჰაგვატის (Bhagwati, 1973) კიდევ უფრო ადრე ჩატარებული ფუნდამენტური ნაშრომის დასკვნებიც ცხადყოფს, რომ უპი ბევრად უფრო პოზიტიურად და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ზრდაზე სწორედ ექსპორტის წამახალისებელ ქვეყნებში, სადაც იგი გვევლინება კიდევ პრინციპში როგორც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ფაქტორი. იგივე ნაშრომი ადასტურებს, რომ ეს განსაკუთრებული შედეგი უმნიშვნელოვანესწილად უნდა მივაწეროთ ძლიერ განვრცობით და გარე ეფექტებს, ვინაიდან სწორედ ამ ეფექტებთან არის ასოცირებული ადამიანური კაპიტალი, ტექნოლოგიური ტრანსფერებისა და ინოვაციების მაღალი მაჩვენებლები.

ექსპორტის წახალისებით განპირობებული ზრდის წარმატებული აზიური პარადიგმების, ასევე სხვადასხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ბაზრებზე შეღწევის ახალი პრიორიტეტების კონტექსტში, ექსპორტის წახალისების (EP) კონცეპცია იძენს უდიდეს მნიშვნელობას. ამ ტენდენციების მხედველობაში მიღებით, გონივრულია ვარაუდი რომ ექსპორტზე ორიენტირების მოთხოვნა მრავალეროვნული საწარმოების მიმართ, კარგად მიესადაგება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების განვითარების მიზნებს.

კომპლექსურმა კვლევებმა და მორანის (1998) მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ექსპორტის განხორციელების მოთხოვნა ლიბერალური საინვესტიციო გარემოს პირობებში მაქსიმალურად ზრდის უპი-ის დადებით ეფექტებს და აფართოებს მისი სპილოვერების არეალს. ამ მტკიცებულების სადემონსტრაციოდ, მორანმა დეტალურად გამოიკვლია სამი დიდი სექტორი –

საავტომობილო, ნავთობ-ქიმიური და ელექტრონული – სადაც უპი იქცა საგარეო ბაზრებზე შეღწევის ინსტრუმენტად მიმღები ქვეყნებისთვის. მიმღები ქვეყნების მთავრობების შესაბამისი პოლიტიკის საფუძველიანი შესწავლის შედეგად, ის ამტკიცებს, რომ იქ სადაც მთავრობები ახალისებენ ექსპორტზე ორიენტირებულ ინვესტიციებს, ადგილი აქვს უპი-სგან მიღებული სარგებლის ზრდას, გარკვეულწილად, ასეთ პოლიტიკას უწოდებენ **”მათრახისა და თაფლაკვერას პოლიტიკას”**, რომლის მიზანია უბიძგოს ან დააინტერესოს წამყვანი ინვესტორები დაიწყო რეგიონალური ან გლობალური მიწოდება-მომარაგების პროცესი მათი შესაბამისი ქვეყნებიდან. ერთის მხრივ „თაფლაკვერას“ პოლიტიკაში მოიაზრება ადგილობრივი სტიმულები, გრანტები, სუბსიდიები, ბაზრის მანამდე დაცული (დახურული) სექტორების, დარგების გახსნილობა, ინვესტიციების

დამაფრთხობელი ან ინვესტიციების შემზღვევადი პირობების გაუქმება და უფრო ლიბერალური საინვესტიციო რეჟიმის დაწესება (უარის თქმა ადგილობრივად წარმოებული შემცველების, ტექნოლოგიის ლიცენზირების, და ერთობლივი საწარმოების შექმნის მოთხოვნებზე). მეორეს მხრივ კი, ექსპორტის განხორციელების მოთხოვნა აკომპანირებულ იქნა ისეთი პროტექციონისტული ღონისძიებებით როგორცაა წარმოშობის წესები და ანტიდემპინგური ზომები.

ზემოთ ხსენებული მრეწველობის დარგების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალური საინვესტიციო რეჟიმის პირობებში განხორციელებულმა ამგვარმა „კომბინირებულმა“ სამთავრობო ინტერვენციამ განაპირობა უპი-ს კოლოსალური შედეგიანობა და სარგებელი, მოახდინა რა უაღრესად დადებითი გავლენა მრეწველობის განვითარებაზე მძლავრი განვრცობითი ეფექტების გაფართოებისთვის ხელშეწყობით. ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციებით სტიმულირებული სარგებელი შეიცავდა არა მარტო მეტი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის კულტურის ინექციებს, ან კიდევ მასშტაბის ეფექტის მიღწევას, არამედ რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იგი აგრეთვე უზრუნველყოფდა მასტიმულირებელი სტრუქტურის ფორმირებას სათავო კომპანიებსა და შვილობილ ფირმებს (ფილიალებს) შორის. ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციები მჭიდროდ დაუკავშირდა მრავალეროვნული საწარმოების საერთაშორისო მიწოდებისა და მომარაგების ქსელს, რამაც სათაო ფირმებს მისცა შესაძლებლობა დაეკავებინათ კონკურენტუნარიანი პოზიცია მსოფლიო ბაზრებზე. ბუნებრივია, ამ გარემოებამ მისცა ძლიერი სტიმული სათაო კომპანიებს შეენარჩუნებინათ უმაღლესი სტანდარტები შვილობილ ფირმებში. ისინი უზრუნველყოფდნენ საკუთარ ფილიალებს ყველაზე განვითარებული და ინოვაციური ტექნოლოგიებით, უფრო სწრაფი ტექნოლოგიური და მენეჯერული განახლება-განახლებისგან, ფასებისა და ხარისხის კონტროლზე მუდმივი ზედამხედველობით, ასევე ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარებით. უფრო მეტიც, როგორც კი ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, ამას მოჰყვა სხვა წამყვანი ინვესტორების მოზიდვა, მათ შორის რეგიონალური კონკურენტებისა. შედეგად, საუკეთესო ტექნოლოგიების, კონკურენტუნარიან საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტირების და უცხოელი ინვესტორების ადგილობრივ ბაზარზე შეჯგუფების კომბინირებამ განაპირობა უმნიშვნელოვანესი განვრცობითი და გარე ეფექტები შემოსულ ინვესტორებსა და ადგილობრივ მიწოდებლებს შორის ჩამოყალიბებული უკუკავშირების გაღრმავებით. განვრცობითი ეფექტები ხორციელდებოდა სხვადასხვა ფორმით: ტექნიკური ხასიათის წვრთნით, სამენეჯერო ტრენინგებით, ექსპორტის მხარდაჭერითა და ტექნოლოგიური განახლებით.

ამგვარად, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეჭვსგარეშა ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციებსა და უპი-ს მხარდ განვრცობით ეფექტებს შორის დადებითი ურთიერთმიმართება. ზემოთ მოყვანილი არგუმენტები მეტყველებენ ამ ტიპის ოპერაციების მნიშვნელოვან პოტენციალზე, გაზარდონ სპილოვერების დადებითი ზემოქმედების არეალი და უპი-სგან მიღებული შედეგიანობა. არსებითად, ამგვარი ზემოქმედება განპირობებულია როგორც ლიბერალ-

ლური საინვესტიციო კლიმატის არსებობით, ასევე პროაქტიული სამთავრობო პოლიტიკითა და სტრატეგიებით. "ლიბერალიზმი" აუცილებლად როდი ნიშნავს, რომ მიმღები ქვეყნის მთავრობა იყოს გულხელდაკრეფილი და პასიურ რეჟიმში ელოდებოდეს გლობალური კორპორაციების "თავისთავად" შემოსვლას ან "თავისთავად" საექსპორტო ინიციატივებს. პირიქით, თანამედროვე მსოფლიოში, მთავრობის როლი და მისი შესაძლებლობა, გაატაროს პროაქტიული პოლიტიკა იქნეს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას. ორი მაგალითი, რომელსაც განვიხილავთ შემდეგ თავში - *მექსიკის სავტომობილო ინდუსტრიის და აზიის ელექტრონულ-კომპიუტერული ინდუსტრიის გამოცდილება* – თვალსაჩინოს ხდის ამ მტკიცების მართებულობას.

3.5. მტკიცებულებათა მიმოხილვა - მექსიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილება

ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მიზანია იმის დემონსტრირება, თუ როგორ ზემოქმედებს ექსპორტის წამახალისებელი ლიბერალური და პროაქტიული სამთავრობო პოლიტიკების (სტრატეგიების) ეფექტური კომბინირება ძლიერი განვრცობითი და გარე ეფექტების წარმოქმნაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ამგვარი პოლიტიკა იწვევს უახლესი ტექნოლოგიების სწრაფ ტრანსფერს, აუმჯობესებს შედევვას კონკურენტუნარიან მსოფლიო ბაზრებზე, ხელს უწყობს უცხოელ ინვესტორთა ჯაჭვური რეაქციით შეჯგუფებასა და აქტივობას მიმღებ ქვეყანაში, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს უპი-ს განვრცობითი ეფექტების გაფართოებას შემოსულ ინვესტორებსა და ადგილობრივ მიმწოდებელ ფირმებს შორის გაღრმავებული უკუკავშირების ფონზე. ამ მტკიცების მართებულობის საილუსტრაციოდ, მანქანათმშენებლობის დარგის გამოცდილება მექსიკაში და სამხრეთ აზიის ელექტრონიკის სექტორის მაგალითი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა მიზეზების გამო. თავდაპირველად, ჩვენ განვიხილავთ მექსიკის გამოცდილებას, როგორც ყველაზე წარმატებული ქვეყნისა ლათინური ამერიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით და შემდეგ მიუზღვრებით ცნობილ აზიურ პარადიგმებს.

რატომ მექსიკა? უმთავრესად იმიტომ, რომ დადებითი გარე და განვრცობადი ეფექტების შთამბეჭდავი მასშტაბები, რასაც ადგილი ჰქონდა ავტომობილების საექსპორტო ბაზის შექმნის შემდგომ, სტიმულირებული იყო მექსიკის მთავრობის პროაქტიული ექსპორტის წამახალისებელი პოლიტიკით. ამ პოლიტიკის და სტრატეგიების თანმიმდევრული განხორციელების შედეგად, მექსიკა გადაიქცა მსოფლიოს განვითარებად ეკონომიკათა შორის უდიდეს ექსპორტიორ ქვეყანად მანქანათმშენებლობის სექტორში: მისი ექსპორტი 1990-იანი წლების შუალედში იყო 14 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების, ხოლო ამავე სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 364 000 (*Moran, 1998, 56; აგრეთვე იხილეთ დანართი 1*). ამავდროულად, მექსიკის შემთხვევა იწვევს ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებული ზრდის კლასიკური მა-

გალითი.

1979 წლამდე მანქანათმშენებლობის ინდუსტრიასთან დაკავშირებული უცხოელი ინვესტორების განკარგულებაში იყო უფრო მცირე მასშტაბის ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ პროდუქციას ძირითადად მომცრო ადგილობრივი ბაზრისთვის. 1972 წლის მხარდმა საფაჯრო დეფიციტმა ხსენებულ სექტორში აიძულა მთავრობა, მიეღო რეგულაციები რომლებიც ავალდებულებდნენ უცხოურ საავტომობილო ფირმებს გაეზარდათ ექსპორტი. მას მერე, რაც მათ ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს, მექსიკის მმართველობამ გადაწყვიტა გადაეღა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უფრო აქტიური პოლიტიკისკენ. ამ კონტექსტში, მექსიკის მთავრობა 1977 წელს გამოვიდა უფრო წამახალისებელი ინიციატივებით და საბოლოოდ გახსნა და ხელმისაწვდომი გახდა აქამდე დაცული (დახურული) ბაზრის სექტორები იმ თანმდევი პირობით, რომ ეს პროცესი პროპორციული იქნებოდა ინვესტორების მხრიდან საექსპორტო ექსპანსიისა. მიუხედავად ერთგვარი ყოყმანისა და ხშირ შემთხვევაში, თავდაპირველი დიდი უკმაყოფილებისა აშშ ფირმების მხრიდან, მექსიკა აქტიურად იყენებდა "მათრახის და თაფლაკვერას" პოლიტიკას, რათა მიეცა სტიმული საერთაშორისო საავტომობილო კომპანიებისთვის გაეფართოებინათ ექსპორტი. შემობრუნების მომენტი სათაო კომპანიების სტრატეგიაში დადგა 1979 წელს, როდესაც "ჯენერალ მოტორსმა" ჩათვალა ახალი პოლიტიკის პაკეტი მისაღებად და გადაწყვიტა, გამოეყენებინა მექსიკა ბაზად თავისი პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტისათვის. შესაბამისად, მექსიკურმა საექსპორტო პროგრამამ განიცადა დიდი წინსვლა, ვინაიდან მას შემდეგ რაც აშშ-ს გიგანტური ფირმებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება, ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტებსა და მოვლენებს:

1) სხვა დიდი უცხოური მანქანების და სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი კომპანიები ასევე დაინტერესდნენ ამ პროცესით და გახსნეს საკუთარი ექსპორტზე ორიენტირებული საწარმო-ქარხნები (*იხ. სქემა 2*). ეს კომპანიები იყვნენ: კრაისლერი, ფორდი და ფოლკსვაგენი, რომელთაც ძალე შეუერთდა ნისანი. ეს ცვლილება, რომელსაც ხშირად უწოდებენ „შეჯგუფების ეფექტს“, გადამწყვეტი გამოდგა ფართო რესტრუქტურისაციისათვის საავტომობილო ინდუსტრიაში.

2) ძლიერი უკუკავშირების დამყარებამ უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მიმწოდებელ სუბიექტებს შორის მექსიკაში მიიღო ინტენსიური და შეუქცევადი ხასიათი. ხუთი წლის განმავლობაში, 310 ადგილობრივმა მომმარაგებელმა, რომელიც აწარმოებდა სათადარიგო ნაწილებს და აქსესუარებს შეძლო დაეკმაყოფილებინა უპი-სთან კავშირში მყოფი ექსპორტიორები. დაახლოებით 110 ფირმა წელიწადში ყიდდა 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელს (Moran, 1998, 56).

3) მოწინავე საავტომობილო ინვესტორი კომპანიების არსებობამ მექსიკაში გამოიწვია არა მხოლოდ დამატებითი ინვესტიციების სტიმულირება უცხოური ფირმების მხრიდან, არამედ დაასტიმულირა ისინი დაენერგათ საუკეთესო საწარმოო პრაქტიკა და გაეწიათ ტექნიკური მხარდაჭერა ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის (მომმარაგებლებისათვის). ეს ხდებოდა ხშირი ურთიერთობით ადგილობრივ მომმარაგებლებთან, რაც ითვლისწინებდა ყოველკვირეულ შეხ-

ვედრებს, წვრთნებს, ტრენინგებს, რამაც საბოლოო ჯამში ჰპოვა ასახვა გაუმჯობესებულ შედეგიანობასა და წარმოების მაღალ ხარისხში.

მექსიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დროის ასეთ მცირე პერიოდში, ადგილობრივმა მიმწოდებლებმაც მიიღეს ძალიან დიდი სარგებელი. ფაქტიურად, განვრცობითი ეფექტები საექსპორტოდ ორიენტირებული მარკეტინგის ათვისებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის, რომ 1987 წლისთვის, ავტონაწილების ათი უმსხვილესი ექსპორტიორიდან ექვსი (59% მთლიანი ავტონაწილების საერთო ექსპორტისა) გახდა ადგილობრივი მესაკუთრე (Nunez, 1990). მანქანათმშენებლობის სექტორში უპი-ს ამგვარი განვრცობითი ეფექტის მტკიცებულებები ასევე უხვადაა მოყვანილი აიტკენის და სხვათა (Aitken et al, 1997) კვლევაში. ისინი აღნიშნავენ, რომ უცხოელი მწარმოებელი ინვესტორები მექსიკაში მოქმედებდნენ როგორც ექსპორტის კატალიზატორები ადგილობრივი ფირმებისთვის. მათი დაკვირვებით, ძლიერი განვრცობითი ეფექტები პირდაპირ თუ ირიბად შემოედინებოდა სხვადასხვა გზებით, რამდენადაც უცხოელი ინვესტორები მოქმედებდნენ როგორც დამაკავშირებელი არხი, მათ შემოქონდათ ახალი ტექნოლოგიები, მენეჯმენტის და განაწილების მაღალი სტანდარტები და პრაქტიკა, და აწვდიდნენ ადგილობრივ ბაზარს უახლეს ინფორმაციას უცხოური ბაზრების შესახებ.

ზემოთ აღწერილი დინამიური განვითარება მექსიკაში თანმდევი და პროპორციული პროცესი იყო შთამბეჭდავი გადასვლისა შეზღუდულიდან ლიბერალური სანივესტიციო გარემოსკენ; მოდიფიცირებულ იქნა შესაბამისი კანონები რათა შეემცირებინათ სამთავრობო კონტროლი ტექნოლოგიების ტრანსფერზე და დაეცვათ ახალი ტექნოლოგიები, სათაო კომპანიების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (UNCTC, 1992, 15-19). შედეგად, უპი-ს მოცულობა და შემოსული ტექნოლოგიების დიდი რაოდენობა თვალმისაცემი და შთამბეჭდავი იყო 1980-იანი წლებში. ფაქტიურად, 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ადგილი ჰქონდა მეორე ფინანსურ კრიზისს, დაგროვილი უცხოური ინვესტიციები იყო ისეთი ეფექტური, რომ მათ შეძლეს კრიზისით გამოწვეული საფრთხეების და ზიანის განეიტრალება. როცა ადგილობრივი ერთობლივი მოთხოვნა განიცდიდა მკვეთრ შემცირებას, მექსიკური კომპანიები კომპენსირებას უკეთებდნენ ადგილობრივ გაყიდვებში ჩაჯარდნას მათ მიერ ექსპორტის გაზრდით და ეს დაეხმარა ადგილობრივ ეკონომიკას მოეხდინა კრიზისით გამოწვეული ზიანის მინიმუმამდე დაყვანა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტი და შესაბამისი გამოცდილება იყო დაახლოებით მექსიკური პარადიგმის ანალოგიური **სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაშიც**. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზიის შესაბამისი ქვეყნების მიმღებმა მთავრობებმა გამოიყენეს "მათრახის და თაფლაკვერას პოლიტიკის" მექსიკისგან რამდენადმე განსხვავებული და უფრო დივერსიფიცირებული მიდგომები. აღნიშნული შეიცავდა კომბინირებულ სტრატეგიების და ინიციატივების პაკეტს: კერძოდ, ექსპორტის განხორციელებაზე მოთხოვნას თან ახლდა მიზნობრივი სუბსიდიები და გრანტები, საგადასახადო შეღავათები და მხარდაჭერა

ტრენინგებში, შრომის რეგულაციები და ზოგიერთ შემთხვევაში, პრეფერენციული საკუთრების რეჟიმი.

1968 წ. *”ჯენერალ ელექტრიკმა”* დააფუძნა თავისი პირველი სატელევიზიო ნაწილების ქარხანა აზიაში – თავდაპირველად სინგაპურში და შემდგომ მალაიზიაში (Encarnation, 1992). ეს ქვეყნები ტაილანდთან ერთად, აზიის განვითარების ბანკის მონაცემებით, იყვნენ ყველზე უფრო გახსნილი და არაინტერვენციული პოლიტიკის გამტარებლები მთელ რეგიონში (ADB, 2005). *”ჯენერალ ელექტრიკის”* შესვლას 1979 წ. მოჰყვა *”ზენიტის”* და *”RCA”*-ს, *”ტექსას ინსტრუმენტის”*, *”ფეარჩაილის”*, *”ნეიშენელ სემიკონდაქტორის”* და *”მოტოროლას”* შესვლა ამ ქვეყნების ადგილობრივ ბაზრებზე. როგორც კი აღნიშნული ადგილმდებარეობები ერთგვარად ინტეგრირებულ იქნა მსოფლიო ბაზრების მომსახურების მიზნით, აშშ-ს ფირმებმა გადაიარაღეს და განაახლეს თავიანთი შესაბამისი ადგილობრივი ფილიალები, რათა ეს უკანასკნელები მოწინავე ბაზრების განვითარების კონდიციებს არ ჩამორჩენილიყვნენ; ეს მოიცავდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და გამოშვებული პროდუქციის თანმიმდევრულ მოდიფიცირებასა და განახლებას უფრო კომპლექსური ქვე-სისტემების, მათ შორის, კონსტრუქციების და დიზაინ-პროექტების შესაქმნელად (Moran, 1998). შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ძლიერ განვრცობით ეფექტებს. რასიაჰის (Rasiah, 1995) დასკვნების მიხედვით, კავშირები უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის მალაიზიაში დაიწყო ელემენტარულ დონეზე; თავიდან ეს უკანასკნელები ახორციელებდნენ მარტივ ამოცანებს, აწარმოებდნენ მექანიკური გადაამუშავების და საშტამპო ოპერაციებს, მაგრამ შემდგომ გადავიდნენ ზუსტი მექანიზმებისა და ნაწილების წარმოებაზე. დროთა განმავლობაში, როგორც აღნიშნავს რასიაჰი, - მის მიერ შესწავლილი ცხრავე ადგილობრივი დანადგარების მწარმოებელმა ფირმამ დაიწყო ექსპორტირება აზიის სხვა ქვეყნებში და აშშ-ში იმ არხების და კავშირების გამოყენებით, რომლებიც მათ შეუქმნეს უცხოურმა კომპანიებმა. შვიდი ამ ფირმათაგანი ექსპორტირებას ეწეოდა მულტინაციონალური წარმოების შვილობილი ფირმებისთვის, რომლებიც განლაგებული იყო მალაიზიის გარეთ, დანარჩენი ორი კი, იღებდა ქვეკონტრაქტებით დაკვეთებს დამოუკიდებელი გარე მწარმეებისაგან. აღსანიშნავია, რომ ცხრა კომპანიიდან შვიდს უკვე ჰქონდა სამუშაო გამოცდილება ერთ-ერთ უცხოურ ფირმასთან, სანამ თავადვე დაიწყებდნენ ოპერირებას; აგრეთვე, 10%-ს ადგილობრივი მუშა-მოსამსახურებისა ჰქონდათ პირვანდელი სამუშაო გამოცდილება მიღებული ასევე ერთ-ერთ უცხოურ ფირმაში მუშაობისას.

ადრეული 1990 წლების ძლიერმა განვრცობითმა და ზემოთ აღწერილმა მომიჯნავე ეფექტებმა ელექტრონულ სექტორში, გამოიწვია ის, რომ აღნიშნულმა სექტორმა თავი დაღწია არსებულ სტაგნაციას და გადაიქცა წამყვან ფაქტორად და წყაროდ დასაქმებისა, მყარი კაპიტალის, პროდუქციის და ექსპორტის განვითარებისა მალაიზიის ინდუსტრიაში (Moran, 1998). ამჟამად, მალაიზიას აზიის განვითარების ბანკის მონაცემებით, აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ექსპორტის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (ADB, 2005; Petri, 1994). კვლევებიდან გამომდინარე მტკიცებულებები და დასკვნები

ანგენებს, რომ მაღალიზიის მიერ ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ს პრიორიტეტული წახალისება კარგად მოემსახურა მისი განითარების ამოცანებს და დიდი წვლილი შეიტანა რვა წლის განმავლობაში მის 8%-ინ ეკონომიკური ზრდაში.

ამ ორი პარადიგმის და შესაბამისი მტკიცებულებების მიმოხილვის საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ უკუგება და შედეგი ექსპორტზე ორიენტირებული შესაძლებლობების მოზიდვიდან ორივე შემთხვევაში იყო დიდი და არსებითი მნიშვნელობის. ეს ყველაფერი ამტკიცებს საწყის ჰიპოთეზას, რომ ლიბერალურ საინვესტიციო გარემოში, ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ის არათუ მხოლოდ მოაქვს კაპიტალი, ტექნოლოგიები და სამენეჯმენტო ჩვევები მასშტაბის ეფექტის პირობებში ოპერირებისთვის, არამედ იგი მაქსიმალურად ზრდის ასევე განვრცობითი ეფექტების მოცულობას ზემოთ აღწერილი სხვადასხვა ფაქტორების მეშვეობით. ამათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი ფაქტორები: სტიმულებით გაჯერებული ურთიერთობის სტრუქტურა სათაო და შვილობილ ფირმებს შორის, სწრაფი ტექნოლოგიური და მენეჯერული გადაიარაღება-განახლება, ტექნიკური წრთვანა და კონტროლი, უცხოელი ინვესტორის და მათი აქტივობის დინამიური "შეჯგუფება", ძლიერი უკუკავშირები ადგილობრივ მიწოდებლებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის, ექსპორტის წახალისება და დახმარება-განვითარება, და შეღწევა (ხელმისაწვდომობა) საერთაშორისო მიწოდება-მომარაგების ქსელში.

ამავდროულად, როგორც გამოჩნდა ორივე შემთხვევაში, ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ს შედინებას მიმღები ქვეყნების წარმოების დარგებში მაშინ ქონდა ადგილი, როცა ადგილობრივი პირობები იყო ხელშემწყობი და შეესაბამებოდა იმ პირობებს, რაც დამახასიათებელია ლიბერალური საინვესტიციო გარემოსთვის. ამასთანავე და თუმცადა, განხილულ შემთხვევებში მხოლოდ პასიური განხილობა ან სამთავრობო "ინტერვენციის" სრული არარსებობა არ წარმოადგენდა აუცილებელ ან საკმარისს პირობას ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციების ინტენსიური მოზიდვისთვის. რეალურად, არსებითი ფაქტორი და მიზეზი წარმატებისა იყო ე.წ. „მათრახის და თაფლაკვერას“ პროაქტიული პოლიტიკის ეფექტური კომბინირება, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ექსპორტის ზრდა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო უპი-ს განვრცობითი ეფექტების პოზიტიურ და ფართო ექსპანსიას ადგილობრივ ეკონომიკაში.

სარგებლის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული
სხვა სამთავრობო სტრატეგიები

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ორი მთავარი ფაქტორი – ლიბერალური საინვესტიციო გარემო და ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციების წახალისება – რამაც ცხადყო მათი მნიშვნელობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მისაღები სარგებლის მაქსიმალური ზრდისთვის. პირველი გულისხმობდა უარის თქმას შესაძლებელი შეზღუდვების პრაქტიკაზე ისეთებზე, როგორიცაა: ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა, ტექნოლოგიების ლიცენზირების მოთხოვნა, და სავალდებულო ერთობლივი საწარმოების შექმნის მოთხოვნა. ამავე დროს, მეორე ფაქტორი (ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების წახალისება) შეიცავდა სამთავრობო ინტერვენციის ისეთ ფორმას, რომელიც განხილულ იქნა როგორც გამართლებული და რაციონალური მიდგომა, - როგორც პროაქტიული სამთავრობო პოლიტიკის ფორმა, რომელიც იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვრცობადი ეფექტების წარმატებულ და ფართო ექსპანსიას მიმღებ ეკონომიკაში.

მიუხედავად ამისა, ამ სტრატეგიების (პოლიტიკების) ეს რეცეპტი არ უნდა ჩაითვალოს ამომწურავად სარგებლის მაქსიმალიზაციის მიზნებისათვის. მოცემულ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ დამატებით მიდგომებს და სტრატეგიებს, რომლებიც ამდენადვე ეფექტურია და საინტერესო ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ის პასუხობს შემდეგ ძირეულ კითხვებს: *მიძლები მთავრობის რომელი სხვა პოლიტიკა (მიდგომები) იძლევა საშუალებას სრულად იქნეს მიღებული სარგებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან? რა წარმოადგენს ლიბერალური საინვესტიციო გარემოს სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს? ნეიტრალური პოლიტიკიდან (სრული ჩაურევლობა) მთავრობის გადახრა ან ამგვარი გადახრის რა დონა შეიძლება იყოს ხელშემწყობი უპი-დან მისაღები სარგებლის მაქსიმალური ზრდისთვის?*

4.1. ლიბერალური საინვესტიციო გარემოს დამატებითი ასპექტები

ლიბერალური საინვესტიციო კლიმატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება ეროვნული (თანაბარი) მოპყრობის პრინციპი (equal treatment), რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელ ინვესტორს იყოს მიმღებ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ნორმებისა და პოლიტიკური რეგულაციების იმავე დარგებში მოქმედი ადგილობრივი ფირმების მსგავსი, თანაბარი სუბიექტი, რომელიც შესაბამისად სარგებლობს მათზე არანაკლები უფლებებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმღები ქვეყნების მთავრობების მიერ ისეთი შემზღუდავი მანდატების უარყოფა როგორიცაა ადგილობრივად წარმოებული შემცველების მოთხოვნა და

სავალდებულო ერთობლივი საწარმოების დაფუძნების მოთხოვნა, აღმოფხვრის ძირითადი ბარიერების პრობლემას უპი-ს სარგებლის ზრდისთვის. ამავე მიზნის მისაღწევად, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, სხვა მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ე.წ. "დაფუძნების უფლება", რაც გულისხმობს იმ პრინციპს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნებადართულია ადგილობრივი ეკონომიკის ყველა დარგში და სექტორში, „იმ მოცემულობით რომ თუკი ადგილი აქვს გამონაკლისებს, ყველა ეს გამონაკლისი არის სრულიად გამჭვირვალე“ (Moran, 1998, 164). ასეთი გამონაკლისები შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ "ერთიანი უსაფრთხოებით" ან "დარგის სპეციფიკურობით" მოტივირებულ გამონაკლისებს. ამ პრინციპის მნიშვნელობა თვალსაჩინო გახდა მექსიკის მაგალითმა; მექსიკის მთავრობა შეეჯახა რა ქვეყანაში მოქმედ აშშ-ს ფირმების ფრთხილ და უარყოფით დამოკიდებულებას ექსპორტის განხორციელების რეკომენდაცია-მოთხოვნასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა გაეღო მათთვის აქამდე დაცული მექსიკური ბაზრის სექტორები და ხელმისაწვდომი გაეხდა უპი-ს განხორციელება მანამდე დახურულ დარგებში. შედეგმა ცხადყო, რომ ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი და ქმედითი ფაქტორი, რომელმაც სტიმული მისცა ძირითად უცხოელ ინვესტორებს გაეფართოებინათ თავიანთი ექსპორტზე ორიენტირებული ოპერაციები და გაეზარდათ დადებითი განვრცობითი ეფექტების არეალი.

ამ პრინციპების გარდა, უადრესად მნიშვნელოვანია რომ მიმდები ქვეყნის სათანადო კანონები და რეგულაციები იყოს ლიბერალური და კეთილგანწყობილი ინვესტიციებისადმი უფრო ფართო მასშტაბით და მთელს მოცემულობაში. ეს არის აუცილებელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეუსაბამო, გაუპართლებელი ჩარევები და უზრუნველყოფილ იქნეს ინვესტიციების ეფექტურობა. მართალია, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა, მაგრამ ამავედროულად, ინვესტიციები საჭირობენ მართებულ რეგულირებას და მეთვალყურეობას, რათა იქმნებოდეს სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო ყველა მხარისათვის. ასეთი გარემოს გარეშე, ეკონომიკური აქტივობის სუბიექტებს ძალიან გაუჭირდებოდათ რაიმე სიმდიდრისა და მატერიალური დოვლათის შექმნა. ამასთან დაკავშირებით, ბევრის მოქმედია 1997 წლის აზიური კრიზისი. მან ნათლად აჩვენა თუ როგორ შეიძლება ლიბერალიზაციამ მიადწიოს არამდგრად კონდიციებს, ჯანსაღი, კეთილგონიერი მეთვალყურეობისა და მარეგულირებელი ნორმების სათანადო გათვალისწინების გარეშე.

4.2. უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის უკუკავშირების წამახალისებელი პროაქტიული სტრატეგიები

წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის მჭიდრო კავშირების მნიშვნელობა. ცალსახად, ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია იმისათვის რომ ადგილი ჰქონდეს უპი-ს ძლიერ განვრცობით

ეფექტებს. ზემოთ აღწერილი ლიბერალური საინვესტიციო გარემო, როგორც ასეთი, ამგვარი კავშირების გაღრმავებას თავისთავადვე უნდა უწყობდეს ხელს. თუმცა, ამის გარდა, სასარგებლო იქნებოდა იმის განხილვა თუ დამატებით, სხვა რა გზებით შეუძლიათ მიმღებ მთავრობებს მიაღწიონ ამ მიზანს ლიბერალური საინვესტიციო პოლიტიკის პირობებში.

ისეთი ქვეყნებისა ბოლოდროინდელმა წარმატებულმა განვითარებამ, როგორცაა სინგაპური და ტაივანი, აჩვენა, რომ ეს წარმატება დიდად განაპირობა შესაბამისი მთავრობების მიერ ამ კავშირების სათანადო წახალისებამ. ამ ქვეყნების მაგალითზე, უპი ყოველთვის ავტომატურად როდი უწყობდა ხელს ქმედითი უკუკავშირების ჩამოყალიბებას. ზოგჯერ, ეს განპირობებული იყო იმ პრობლემით, რომ უცხოურ კომპანიებს უჭირდათ იმ საქონლის მიმწოდებლების იდენტიფიცირება, რომლებიც იქნებოდა მათთვის დამაკმაყოფილებელი ხარისხის და ფასის თვალსაზრისით. შესაბამისად, ისინი არჩევდნენ მიეღოთ საჭირო ნედლეული და მასალები მათი ტრადიციული მომმარაგებლებისგან საზღვარგარეთ, ვიდრე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი მდარე ხარისხის მწარმოებელ და არასტაბილურ ადგილობრივ პარტნიორებზე. ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევაში, ამან განაპირობა ანკლავური ტიპის სიტუაციები, რომელსაც ფაქტიურად არა აქვს კავშირი მიმღები ქვეყნის ეკონომიკასთან.

ასეთმა გამოცდილებამ უკარნახა უპი-ს მიმღებ ზოგიერთ ქვეყანას განქორციელებინა ეროვნული დონის სამთავრობო პროგრამები, რათა წახალისებინა ეფექტური უკუკავშირები. ამ პროგრამების ცალკეულ კომპონენტებს შეადგენდა:

- ბაზრის და ბიზნესების შესახებ ინფორმაციის მომზადება და ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ბაზრობების (ექსპორტცენტრები, გამოფენები) და მონაცემთა ბაზების მომზადება და ორგანიზება;
- ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა ტექნოლოგიურ გადაიარაღება-განახლებაში საჯარო და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მეშვეობით;
- ადგილობრივი საწარმოების უზრუნველყოფა მენეჯერული და ტექნიკური მხარდაჭერით, ტრენინგით, სემინარებით, აუდიტით და დრო-გამოშვებით, ფინანსური მხარდაჭერით და ნახალისება-სტიმულებით (UNSTAD, 2001).

ეფექტური უკუკავშირების წახალისების საინტერესო მაგალითებს ასევე უხვად ვნახავთ სინგაპურში, რომლის მდიდარი გამოცდილება ამ მიმართებით თვალშისაცემია. ასე მაგალითად, სინგაპურის სტანდარტების და ინდუსტრიული კვლევის ინსტიტუტი უფასოდ ან ხარჯების განაწილების საფუძველზე, უწყვედა ინტენსიურ დახმარებას მცირე და საშუალო საწარმოებს, იქნებოდა ეს ტექსტირებები (რათა მათ გამოეცადათ ახალი მასალები და ნივთიერებები), ტექნიკური კონსულტაციები, პატენტების რეგისტრაცია თუ მთელი რიგი სხვა დახმარებები. სხვა ალტერნატიული და საკმაოდ კრეატიული მეთოდები გამოიყენეს სინგაპურ-

რის ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტში; მათ წარმატებით მოახერხეს წახალისებინათ უცხოელი ინვესტორები, რათა ამ უკანასკნელთ ნებაყოფლობით საფუძველზე, გაეწიათ ერთგვარი სკაუტირება და მოეხდინათ იმედების მომცემი ადგილობრივი ფირმების, მიმწოდებლების იდენტიფიცირება და შეძღვომული შეეწყობა საბითუმო ბაზრის განვითარებისთვის (Moran, 2002).

სინგაპურის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, ბევრი მიმღები ქვეყნის მთავრობისთვის ღირებული და საინტერესო იქნებოდა იდეა შექმნათ ან გადაეხალისებინათ უკვე შექმნილი სპეციალური სააგენტოები, რომლებიც ეფექტურად მოემსახურებოდნენ ამ ტიპის უკუკავშირების გაღრმავებას და შესაბამისად, გაზრდიდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მისაღებ სარგებელს. სხვა შესაბამის ფუნქციებთან ერთად, ამგვარი სააგენტოების ფუნქციებად შეიძლება მოვიხსნათ: ადგილობრივი ფირმების იმიჯის შესაქმნელი კამპანიის წარმართვა; ბიზნესთან და ბაზართან დაკავშირებული კომპლექსური და ყოველმხრივი ინფორმაციის მომზადება-დამუშავება-უზრუნველყოფა; ინვესტორების დახმარება დასაყრდნობი ადგილობრივი პარტნიორების ძიებაში. სხვა ფუნქციები და ძალისხმევა ასევე შეიძლება მოიხსნებდეს: ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერას მათი ტექნიკური აღჭურვილობით და მენეჯერული დახმარებით; ასევე, კავშირების ფასილიტაციას ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო საინვესტიციო პროექტებს შორის.

4.3. ზომიერი (დაბალანსებული) სამთავრობო ინტერვენცია

აქამდე, ჩვენ ვუხეზოდით მიმღები ქვეყნის პოლიტიკას (სტრატეგიებს), რომლებიც უმეტესწილად არ იყო „ინტერვენციული“ ელემენტის შემცველი. არის თუ არა ამგვარი პოლიტიკის არსებობის საჭიროება და აუცილებლობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მოსალოდნელი სარგებლის მაქსიმალიზაციისთვის? შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი გამართლება სამთავრობო ინტერვენციისა იყოს ფაქტორი, გარემოება რომელიც ცნობილია „ბაზრის მარცხის“, „ბაზრის ჩაყარდნის“ სახელით.

დამოფიქრებელი აღმოჩენა მექსიკის მაგალითის განხილვისას იყო ბევრი უცხოელი ინვესტორის სკეპტიციზმი და ყოყმანი, სურვილის არქონა განეხორციელებინათ ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციები, იმის მიუხედავად, რომ ცხადი იყო, რომ მათი კონკურენტუნარიანობა და საერთო მოგების მაჩვენებელი გაუმჯობესდებოდა თუკი ამგვარად მოიქცეოდნენ. შესაძლოა იყოს აგრეთვე სხვა მაგალითებიც „ირაციონალური“ ქცევის. კერძოდ, უცხოელმა ინვესტორებმა შეიძლება ჯეროვნად ვერ შეაფასონ ისეთი ინიციატივების მნიშვნელობა როგორცაა ტრეინინგ პროგრამები და/ან კვლევა-განვითარების აუცილებლობა, იმის მიუხედავად, რომ მათ აქვთ კარგი მიზეზები და სტიმულები სჯეროდეთ ამის და მოიქცნენ სათანადოდ. მაშინ როდესაც მათ ინტერესებშია შეინარჩუნონ უმაღლესი სტანდარტები შვილობილ ფირმებში (რათა განამტკიცონ მათი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე), მიმღები ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის დონის ამაღლება, და დინამიური და

